პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (19063) სამშაბათი, 25 სექტემბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუერთგულოთ კოლექტივიზმის პრინციპებს

ფართოდ არის ცნობილი პარტიის ლენინისეული დახასიათება საუკუნის დამდეგს, მისი ჩამოყალიბების პერიოდში: თანამებრძოლთა, თანამოაზრეთა მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი, რომლებიც მტკიცედ ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან ციცაბო და ძნელი გზით. კოლექტივიზმის, ამხანაგური შეკავშირების დიადი გრძნობა, უმჭიდროესი კავშირი მასებთან კომუნისტებმა გამოატარეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ახალი საზოგადოების საფუძვლების აშენებისათვის გმირული ბრძოლის ათწლეულებში. კოლექტივისტური პრინციპები, რომლებიც საბჭოთა ხალხის ყველა ფენის ცხოვრების წესად გახდა, დაგვეხმარა გაგვემარჯვა ომის მრისხანე წლებში, აგვეყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი პროგრესის ახალ მწვერვალებზე.

„კომუნისტის მორალური სახის ყველაზე მკაფიო ნიშანია, — აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, — კოლექტივიზმის გრძნობა ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით, უნარი, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს საერთო მიზნებს, მთელ კლასს, თავის ამხანაგებს". საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უპირატესი ძალა ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, პარტიული რიგების შეკავშირებაა, როცა მისი ყველა წევრი მოქმედებს ერთსულოვნად, შეკავშირებულად, როგორც ერთი კაცი. ეს შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ შემოწმებული, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოსდევს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცება.

ჩვენი ცხოვრების მთელი წესი ადასტურებს: ახალი საზოგადოება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის რეალურ ფორმებს უქმნის ადამიანებს, რომლებმაც არ იციან რა არის სხვა ხელისუფლება, მათი საკუთარი გაერთიანების ხელისუფლების გარდა. ახლა, მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, მთავრდება კოლექტიურ საწყისებზე მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა, ყალიბდება ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებშიც ადამიანთა ურთიერთობაში ბატონობს ამხანაგური თანამშრომლობის, ურთიერთმომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთება. კოლექტივიზმის პრინციპების ერთგულება — ეს არის თითოეულის რწმენა თავისი ინტერესებისა და მთლიანად კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების ერთიანობისადმი, შინაგანი მოთხოვნილება ყოველთვის და ყველაფერში მოქმედებდეს საერთო კეთილდღეობისათვის.

მშრომელთა ახალი, სოციალისტური თვისებები, კოლექტივიზმის ურთიერთობა ყალიბდება, უწინარეს ყოვლისა, შრომით კოლექტივებში. სსრ კავშირში 2,5 მილიონზე მეტი შრომითი კოლექტივია. მუშაობა კოლექტივში საწარმოო ამოცანებით, ტექნოლოგიური ჯაჭვით გაერთიანებულ ადამიანთა უშუალო ერთობლივი შრომა არის. აქ მწიფდება სოციალური, ინტერნაციონალური, სულიერი ერთობა, ცხოვრების ახალი თვისება, რომელიც სოციალიზმისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის ასპარეზიც პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ადამიანის შემოქმედებითი ძალების გამოვლენისათვის.

ПРАВДА

24 სექტემბრის მოწინავე

კოლექტივისტური საწყისების სრულყოფას მძლავრი იმპულსი მისცა სსრ კავშირის კანონმა შრომითი კოლექტივების შესახებ. ეს საკანონმდებლო აქტი იყო, ახალი საფეხური უშუალოდ წარმოებაში მართვის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის, მშრომელი ადამიანის უფლებათა გაფართოებისათვის პარტიის გეზის თანამიმდევრულ განხორციელებაში. ახლა საქმე ის არის, რომ მაქსიმალურად შევასხათ ხორცი კანონით მონიჭებულ შესაძლებლობებს.

სოციალიზმის ძალაა სახელმწიფოს, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების სწორი შეხამება, საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო ინტერესის პრიორიტეტის უზრუნველყოფა. თითოეულ შრომით კოლექტივს უნდა ვუსახავდეთ მიზნად პატივისცემით, მზრუნველ დამოკიდებულებას სხვა კოლექტივების და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისადმი, სახელმწიფო გეგმების, ვალდებულებების, სახელშეკრულებო მიწოდების ზუსტ და უთუო შესრულებას. საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო ინტერესების იგნორირება ან შეუფასებლობა, ზოგჯერ ყალბად გაგებული „კოლექტივის ინტერესებით" მათი შეცვლა ჩვენი პრინციპების უხეში დარღვევაა.

შრომითი მეტოქეობის დროს იბადება შემოქმედებითი თაოსნობები და ინიციატივები, რომლებიც სტიმულს აძლევენ ამხანაგურ ურთიერთდახმარებას არა მარტო ბრიგადისა თუ საამქროს, არამედ მთელი დარგის მასშტაბით, ზოგ შემთხვევაში კი შეიცავენ მომიჯნავეთა ურთიერთობასაც. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანოები უფრო აქტიურად უნდა ავითარებდნენ სოციალისტური შეჯიბრების კოლექტიურ ფორმებს, კონტროლს უწევდნენ სახელშეკრულებო ვალდებულებათა განუხრელ შესრულებას.

წარმოებაში კოლექტივისტური საწყისების განვითარებისა და განმტკიცების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების საყოველთაოდ გავრცელება. ეს მასების შემოქმედებით მიგნებული პირადად მშრომელის, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების შეხამების სწორი მეთოდია. „ბრიგადებში, — თქვა მოსკოვის ქარხანა „ნამგლისა და უროს" უფროსმა ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. შუკანოვმა, — ცნებები „ჩემი" და „ჩვენი", პირადი და საზოგადოებრივი ყალიბდება კლასობრივი შეგნების, პატრიოტული მოვალეობისა და კოლექტიური ოსტატობის შეგნების ნიადაგზე". ამავე დროს ბევრ ბრიგადაში ჯერ კიდევ ნელა ინერგება სამეურნეო ანგარიში, სუსტად ხორციელდება თითოეული მუშაკის პირადი შრომითი წვლილის გათვალისწინებით, საბოლოო შედეგების მიხედვით მუშაობის შეფასებაზე გადასვლა. პარტიული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, დარგობრივი პროფკავშირების ვალია ხელი შეუწყონ ბრიგადული იჯარის მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალის უფრო სრულ გამოყენებას.

მშრომელთა სოციალური აქტიურობა, რომელიც ავითარებს ამხანაგობისა და კომუნისტური უანგარობის სულისკვეთებას, ახლა ქცევის ნორმა ხდება. საბჭოთა ადამიანს მუდამ გულთან ახლოს მიაქვს სხვისი ჭირი. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს, მაგალითად, ათასობით ამანათი, ფულადი გზავნილი, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხიდან მიდის სტიქიით დაზარალებული ივანოვოს ოლქის მცხოვრებლებისათვის. რა ორგანულად შეერწყა დღევანდელი ტაჯიკეთის ცხოვრების სახეს ძველი ჩვეულება „ხაშარი" — ურთიერთდახმარების ჩვეულება! ამავე დროს ჩვენი კოლექტივისტური წყობისათვის შეუთავსებელია ინდივიდუალისტური, მეშჩანური ფსიქოლოგიის გამოვლინებანი, მისწრაფება რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება. იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის პრაქტიკაში ადამიანებს, და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობას, უნდა ვუნერგავდეთ სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის გრძნობას, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში განხორციელებული დემოკრატიზმის, ამხანაგობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, და ამაში მაგალითს უწინარეს ყოვლისა კომუნისტები უნდა გვიჩვენებდნენ.

კოლექტივიზმის, ამხანაგური თანამშრომლობის, ძმური ერთობის გრძნობა საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღის საფუძველი, ჩვენი ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. საბჭოთა ადამიანების საქმეებითა და მიღწევებით წარმატების საწინდარია ამ თვისებების განმტკიცება განვითარებული სოციალიზმის სრულყოფაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ლენინის ორდენითა და მესამე „ნამგალისა და უროს" ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, სსრ კავშირის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში უდიდესი დამსახურებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით და მესამე „ნამგალისა და უროს" ოქროს მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. კუზნეცოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 22 სექტემბერი.

აქტივის კრებაზე

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა აქტივის კრება.

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრმა ამხ. მ. ი. ბუსიგინმა გააკეთა მოხსენება სამინისტროს ამოცანების შესახებ, რომლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სატყეო ნედლეულის რესურსების, დამზადებული მერქნის გამოყენების გაუმჯობესებისა და ხე-ტყის მრეწველობაში კადრების დამკვიდრების ღონისძიებათა თაობაზე.

აქტივზე გააანალიზეს დარგის გაერთიანებების, საწარმოების, სატყეო მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. დამტკიცებულია ხე-ტყის ინდუსტრიის მუშაობის ეფექტიანობის გადიდების, დარგში შექმნილი სამრეწველო პოტენციალის უფრო სრული გამოყენების ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სატყეო საქმის კომპლექსური გაძღოლის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, დისციპლინის მკაცრად დაცვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მიმდინარე და 1985 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ შესრულების საკითხებს.

აქტივზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ი. ნ. დმიტრიევი, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეები.

(საქტესი).

ხუთწლედი — წელი მეოთხე

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თამარ ბრეგვაძემ მშობლიური სოფლის ჩაის პლანტაციებში, კომკავშირული საგზურით დაიწყო მუშაობა. თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობის გამგეობამ კომკავშირელს 0.12 ჰექტარი პლანტაცია გამოუყო. გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1500 კილოგრამის ნაცვლად თამარ ბრეგვაძემ უკვე მოკრიფა 1600 კილოგრამი ნედლეული.

სურათზე: სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე, კომკავშირელი თამარ ბრეგვაძე.

ო. ბარაჩიკიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რთველი-84

დავაჩქაროთ ყურძნის კრეფის ტემპი

მოკრეფილია 210.762 ტონა

რთველი კახეთის ყველა რაიონში მთელი ძალით გაჩაღდა. ამ რეგიონში მოკრეფილია 210.762 ტონა ყურძენი. ყურძენს კრეფენ მარნეულელი, გარდაბნელი და ბოლნისელი მევენახეებიც. ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, 24 სექტემბრისათვის მოკრეფილია 216.818 ტონა ყურძენი, შარშან ამ დროისათვის კი მხოლოდ 66.992 ტონა იყო მიტანილი მარნებში.

აი, რომელ რაიონში რამდენი ტონა ყურძენი მოიკრიფა:

გურჯაანის —	54.567
წითელწყაროს —	40.461
ყვარლის —	34.715
თელავის —	27.898
სიღნაღის —	26.902
ახმეტის —	10.171
საგარეჯოს —	9.466
ლაგოდეხის —	7.082
მარნეულის —	4.554
გარდაბნის —	715
ბოლნისის —	287

რთველს დაყოვნება არ უყვარს, ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, შეუფერხებლად ვკრიფოთ ყურძენი!

ყველანი რთველში, მეგობრებო!

760 000ტ
ყურძნისათვის!

მევენახეთა დასახმარებლად

ბათუმი (საქ. კორ.). იმისათვის, რომ კახეთის მევენახეებმა რთველი შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრონ, მათ ყოველწლიურად ეხმარებიან აჭარის ასსრ ავტოტრანსპორტელები. ეს უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. ასე მოხდა წელსაც. აჭარის ავტოტრესტის 75 სატვირთო ავტომანქანა გურჯაანელ მევენახეებს ეხმარება.

— გურჯაანში ის მძღოლები გავგზავნეთ, — გვითხრა ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ნ. გიორგაძემ, — რომლებიც აქ წინათაც მუშაობდნენ, სათანადო გამოცდილებაც შეიძინეს და კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდნენ.

კეთილი ტრადიცია: გეგმა — ვადამდე!

რესპუბლიკის იმ შრომითი კოლექტივების სია, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ცხრა თვის საგეგმო დავალებანი, შეავსო საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმმა". მისმა მშრომელებმა დეკადით ადრე გაანაღდეს სამი კვარტალის დავალება.

კალენდრის გასწრებით მუშაობა გაერთიანების კოლექტივის კეთილი ტრადიცია გახდა: წლის დამდეგიდან აქ ყოველთვე უსწრებენ სამშობლოს გეგმების ვადამდე შესრულებას. (საქინფორმი).

760.000 ტონა ჩაისათვის

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის" გარდამავალ დროშას?

● ●

დაწინაურდა ბრიგადა

ტყიბული. (საქ. კორ.) გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი საჩუქრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ქალაქის ზონის ბუეთის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადა, რომელსაც ვეტერანი კოლმეურნე ალექსანდრე გაბრიაძე ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლევანდელი გეგმა-დავალება, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 104 ტონა ჩაის ფოთოლი. საგულისხმოა ისიც, რომ ბრიგადამ უკვე წარმატებით დაამთავრა ხუთწლედის დავალება. ხუთწლედის განვლილ პერიოდში მოკრიფა 433 ტონა ჩაის ფოთოლი. დამზადებული ნედლეულის 82,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის გარანტიაა

ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, და ყოველ მათგანზე საბჭოთა ადამიანები სიფხიზლისა და მამაცობის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებენ. უცხო, ხშირად ჩვენდამი მტრული სამყაროს შესაყართან არა მარტო ვახტზე დგანან მესაზღვრეები, არამედ აგრეთვე აქ ცხოვრობს და შრომობს მილიონობით ადამიანი. ყოველ მათგანს ახასიათებს მაღალი პატრიოტიზმი, პოლიტიკური მომწიფებულობა, მზადყოფნა — საკადრისი პასუხი გასცენ კლასობრივი მოწინააღმდეგის ყოველ ხრიკსა და პროვოკაციას.

კაპიტალისტურ სამყაროსთან სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე გადის. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მთელ მოსახლეობას სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების შეუვალობის, მტკიცე წესრიგისა და თავდადებული შრომის, ქვეყნის ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მაღალი იდეალების სიწმინდისათვის.

ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება აჭარაშიც, სადაც მწვანექუდიან მეომართა და საზღვრისპირეთის მცხოვრებთა თანამშრომლობის დიდი დადებითი გამოცდილებაა შეძენილი. და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ბათუმში, აჭარის ასს რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა 22 სექტემბერს რესპუბლიკური თათბირი, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესებისათვის პოლიტიკური სიფხიზლის შემდგომი ამაღლების საკითხები.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს სსრ საზღვრისპირა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო და წითელდროშოვანი სამხედრო ოლქების ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. არხიპოვი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. რ. პაპუნიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

თათბირზე მოხსენებანი გააკეთეს გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. მ. არხიპოვმა.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი დ. ი. კოტეტიშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. მ. ცუგბა, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ვ. გ. კაზმინი, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ნ. მ. გოგიტიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ვ. ი. შადური, საქართველოს ალკკ ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი დ. ვ. მეტრეველი, ბოგდანოვკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ვ. აროიანი, მესაზღვრე ოფიცრები ნ. ს. რაკოვიჩი, დ. შ. ცლენტი, გ. ფ. მაქსიმენკო, ვ. ი. გუსევი.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

საზღვარი მთელი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის საზრუნავია

თვით თათბირის მიმდინარეობამ, ძირითადმა ტენდენციებმა, რომლებიც გამოიკვეთა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში სამშობლოს სამხრეთი საზღვრების განმტკიცებისათვის, დაადასტურეს ორ წელზე მეტი ხნის წინათ ახალციხის ანალოგიურ თათბირზე შემუშავებულ გადაწყვეტილებათა დიდი ქმედითობა. რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებისათვის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაუმჯობესებისათვის მუშაობა მიზანმიმართულად წარმოებს. იგი ჩვენი მოქალაქეების, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის იდეოლოგიური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა.

აქ შექმნილია საკმაო გამოცდილება. ჩამოყალიბდა მთლიანად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ჯარის ნაწილებისა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების ურთიერთმოქმედების მწყობრი სისტემა. ყველა დიდ პოლიტიკურ აქციაში, რომლებსაც ამ ოლქების სარდლობა და პოლიტორგანოები ახორციელებენ, აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები. არმიელ კომუნისტთა გამოცდილება ხელს უწყობს კიდევ უფრო დაიხვეწოს მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, გადაწყდეს ბევრი სამეურნეო ამოცანა, შემუშავდეს ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესების მართვის ახალი ფორმები.

ასეთი კონტაქტების შედეგები ყველაზე სრულად გამოვლინდა სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით. მაგალითად, შესამჩნევად გაუმჯობესდა წვევამდელი ახალგაზრდობის მომზადების ყველა მაჩვენებელი, გასაწვევთა უმრავლესობა ახლა დაუფლებულია ერთ-ერთ სამხედრო სპეციალობას. უფრო დაიხვეწა მათი ფიზიკური წრთობა, ამაღლდა იდეოლოგიური სიმწიფე. სწორედ ეს არის ის პრაქტიკული საფუძველი, რომელზეც ყალიბდება თითოეული მოქალაქის ზნეობრივი და პოლიტიკური სიმწიფე, მისი მზადყოფნა დაიცვას სამშობლო.

წლითიწლობით იზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში, მათ შორის სასაზღვრო სასწავლებლებში შედიან. წელს პირველად მოეწყო ახალგაზრდობის კონკურსგარეშე შერჩევა. სამხედრო სასწავლებლებში ჩაირიცხნენ რესპუბლიკის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლები.

საზღვრისპირა რაიონებს, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, გადიდებული მოთხოვნები აქვს წაყენებული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საზღვრისპირა ქალაქებსა და რაიონებში იქმნება თადარიგის მეომართა, მთლიანად მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გარკვეული სისტემა. ამაღლდა თადარიგის სამხედრო ვალდებულთა მომზადებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, ისეთივე სასარგებლო ერთობლივი გამოცდილება შეიძინეს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა.

სახელმწიფო საზღვრის დაცვაში საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობის მონაწილეობა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობაში. მათი წევრების, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური დახმარებით მესაზღვრენი აკავებენ როგორც საზღვრის დამრღვევებს, ისე სასაზღვრო და საპასპორტო რეჟიმის დამრღვევებს, ძებნილ საშიშ დამნაშავეებს.

კარგად არის ცნობილი, რომ საზღვრის დაცვა მარტო მეომართა საქმე არ არის. აქ არც საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთა მონაწილეობით უნდა შემოვიფარგლოთ. საზღვარი — ეს არის მთელი რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის საზრუნავი, რადგან მოსახლეობის პოლიტიკური სიფხიზლის, მისი იდეოლოგიური სიმწიფის ამაღლების ამოცანები დღითი დღე სულ უფრო რთულდება. დასავლეთის იდეოლოგიური სამსახურები აძლიერებენ ფსიქოლოგიურ შეტევას საბჭოთა კავშირზე. ისინი ცდილობენ გაალვივონ უმცირესი ნეგატიური გამოვლინებანი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, დათესონ უნდობლობა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის, სამიზნედ აირჩიეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფერო, უსინდისოდ ამახინჯებენ ფაქტებს და მიმართავენ აშკარა პროვოკაციებს. ამასთან იმედს ამყარებენ ცალკეულ პირებზე, რომლებიც ავლენენ არაჯანსაღ განწყობილებას, კარგავენ კლასობრივ ორიენტაციას, არღვევენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების კანონებს, დასაშვებად მიიჩნევენ მოშვებულობას, თვითნებობას, უპასუხისმგებლობას.

ეს მთელი სიგრძე-სიგანით სვამს ყველა უბანზე, პირველ რიგში პარტიულ ორგანიზაციებშიც კი კონტრპროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. იგი უნდა წარმოებდეს შემოქმედებითად, არაფორმალურად, შეტევითად და ოპერატიულად. „ჩვენ არა გვაქვს იმის საფუძველი, რომ თავდაცვითი პოზიცია დავიკავოთ რომელიმე პრინციპულ საკითხში, — აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე. — თუ ჩვენ ზერელედ ვხსნით რაიმე მოვლენას და დაგვიანებით ვაწვდით მას ხალხს, შემდეგ გვიხდება არა დარწმუნება, არამედ გადარწმუნება, რაც გაცილებით უფრო ძნელია".

დღეს პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მწვავდება წამყვანი დასავლეთის სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა სამხედრო მზადებით. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სულ უფრო მეტად ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლა სამხედრო მეტოქეობით განსაზღვროს. ამასთან, სამხედრო უპირატესობის მიღწევის ღონისძიებათა დაგეგმვიდან იგი პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდა. მიმდინარეობს საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში, გაისათვის უკვე ასიგნებულია თითქმის 10 მილიარდი დოლარი სტრატეგიული შეტევითი იარაღის ახალი სისტემების განლაგებისათვის მოსამზადებლად.

თავხედურად უჭერენ მხარს ყველაზე რეაქციულ რეჟიმებსა და აგრესორებს — ისრაელს, რომელიც ტანჯავს არაბულ ქვეყნებს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, თავს რომ ესხმის მეზობლებს, სალვადორის ხუნტას, რომელიც ომს ეწევა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ავღანეთში მოქმედ დუშმანებს, ჰონდურასის მმართველებს, რომლებმაც საკუთარი ქვეყანა ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად გადააქციეს, ინდოეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედ სეპარატისტებს. პენტაგონი აფართოებს ყოფნას სპარსეთის ყურის რაიონშიც, საკუთარი სტრატეგიული მიზნით იყენებს ირან-ერაყის ომს. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მისწრაფებათა კონცენტრირებული გამოხატულება გახდა ვაშინგტონის საახლოაღმოსავლეთო პოლიტიკა, რომლის მიზანია ამერიკის ინტერესებისათვის ამ რეგიონის სრული დამორჩილება.

საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, იძულებულია განახორციელოს საპასუხო ღონისძიებანი თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის დასაცავად. ჩვენ კარგად გვესმის, რომ, როცა გამალებულ შეიარაღებას ზრდიან, დასავლეთის რეაქციული რეჟიმები, სამხედრო მიზნების გარდა, სხვა მიზნებსაც ისახავენ. ისინი ცდილობენ ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინონ ჩვენს ქვეყანაზე, გვაიძულებენ მნიშვნელოვანი სახსრები მოვაკლოთ სოციალურ პროგრამებს. ამ პირობებში პოლიტიკური სიფხიზლის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობასა და სხვა სფეროებში დისციპლინის განმტკიცებასთან, საგეგმო დავალებათა უთუო მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საკითხებთან, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის განხორციელებასთან, წარმოების გადიდების გამოუყენებელი რეზერვების ძიებასთან.

საზღვარი სიფხიზლის მოდუნებას არ გვაპატიებს

თათბირზე აღინიშნა, რომ დიდი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკაში საზღვრისპირა რაიონების სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპის უზრუნველსაყოფად. დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებით დასახულია განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი ავტონომიურ ფორმირებათა — აფხაზეთის, აჭარის, საქართველოს სამხრეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონის კომპლექსური განვითარებისათვის.

საზღვრისპირა რეგიონებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციაში. საგეგმო დავალებებს თავს ართმევს ადმინისტრაციული რაიონებისა და საწარმოების დიდი უმრავლესობა, არსებითად გაუმჯობესდა მათი მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. გამომუშავებულია დიდძალი დამატებითი პროდუქცია, დადებითი შედეგებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. წარმატებით მთავრდება ჩაის ფოთლის კრეფა, ინტენსიურად წარმოებს საკვების, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

დასახულია, 2000 წლამდე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში სასოფლო პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდეს თითქმის ერთიორად, განვითარდეს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ამოცანა უზრუნველყოს საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში რესპუბლიკის სპეციალიზაციის განმსაზღვრელი დარგების — მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის, აგრეთვე მეთამბაქოეობის მნიშვნელოვანი განვითარება, გაზარდოს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება და შესაბამისად განამტკიცოს საკვები ბაზა.

(დასასრული მე-2 გვ.).

მისასალმებელი დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს, რესპუბლიკის მარშალს სამორა მოიზეს მაშელს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ულოცავენ კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების 20 წლისთავს. (საქტესი).

პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლება სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის გარანტიაა

(დასასრული)

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის მეოხებით დიდი პერსპექტივები ისახება სამხრეთ საქართველოში. აქ გათვალისწინებულია აშენდეს ახალი სამრეწველო საწარმოები, რომელთა წარმოების საერთო მოცულობა ათობით მილიონ მანეთს შეადგენს. ამ ზონის ხელსაყრელი პირობები შეგვიძლია გამოვიყენოთ მეკარტოფილეობისა და სარძეო-სახორცე მესაქონლეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საზღვრისპირეთის ეკონომიკური პოტენციალის დაჩქარებულ ზრდასთან ერთად საზოგადოებრივ წარმოებაში ებმება დამატებითი შრომითი რესურსები, აღიკვეთება ბევრი არასასურველი ტენდენცია და პროცესი. ამრიგად, კომპლექსურად წყდება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ამოცანები.

მაგრამ მთელი ეს მუშაობა მაღალეფექტიანია მხოლოდ მაშინ, თუ იგი განმტკიცებულია იდეოლოგიური ზემოქმედების სოლიდური ღონისძიებებით, რომელთა მიზანია განამტკიცოს შეგნებული დისციპლინა, აღიკვეთოს სოციალისტური კანონიერების დარღვევის ყოველგვარი ფაქტები, სხვა ანალოგიური ნაკლოვანებანი. სწორედ ამას გვისახავს მიზნად ახლახან მიღებული კანონი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ“. საზღვარი არ გვაპატიებს სიფხიზლის მოდუნებას, მკაცრად დაგვსჯის ყოველგვარი, თუნდაც სულ უმნიშვნელო უყურადღებობისათვის. სწორედ ამიტომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთავარი მოთხოვნაა შემუშავდეს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივ ღონისძიებათა კოორდინაციის მოფიქრებული, ზუსტი სისტემა ყველა რგოლში და ყველა დონეზე.

ჯარის ნაწილებთან და მესაზღვრეებთან თანამოქმედება უნდა მივიჩნიოთ სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განუყოფელ ნაწილად, რომლის მთავარი მიზანია ჩვენი სამშობლოს, მიჯნების საიმედო დაცვა, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ კომუნისტი მეომრები სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის მიმდინარე მრავალმხრივ და პასუხსაგებ მუშაობაში, კერძომესაკუთრული ტენდენციების, სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. საყოველთაოდ არის ცნობილი მათი მაღალი პრინციპულობა, პატიოსნება, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი. და, რაღა თქმა უნდა, ისინი საიმედო ბურჯად მოგვევლინებიან იმ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაში, რომელიც წარმოებს ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად, სოციალისტური ყოფა-ქცევის ნორმების გადახრების წინააღმდეგ.

კოლექტიური პასუხისმგებლობა თითოეული ადამიანისთვის, კონკრეტული მუშაობა კოლექტივის ყოველ წევრთან — დღეს ეს პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერების მთავარი და განმსაზღვრელი პირობაა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში არ უნდა დავუშვათ არავითარი კომპრომისი, ძალთა დაძაბვის, ენერგიულობის, სიმტკიცისა და შემტევი სულისკვეთების შესუსტება იმ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც არღვევენ სოციალურ წესრიგს და ზოგჯერ გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ საზოგადოებას. ამიტომ საჭიროა მტკიცედ და გაბედულად წარვმართოთ ბრძოლის მახვილი, პარტიული, სახელმწიფო, სოციალურ-სამართლებრივი ზემოქმედების მთელი ძალა იმათ წინააღმდეგ, ვინც დღეს ხელს გვიშლის აღმშენებლობით შრომაში, ვისაც ჯეროვნად არ სურს ყურად იღოს შეგონებისა და დარწმუნების ჰუმანური ხმა, ვისაც ძვალ-რბილში გასჯდომია ჩვევა იქურდოს, ქრთამი აიღოს, იცრუოს, არარად ჩააგდოს კანონის ფორმა და შინაარსი, უგულებელყოს მისი განუხრელად დასაცავი მოთხოვნები.

პოლიტიკური, მორალურ-ყოფითი აღვირახსნილობის, თვითნებობისა და ანარქიზმის ყოველგვარი ფორმა, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს ახასიათებს, მათ შორის, ნაციონალისტური მავნე გამოვლინებანი, დაუნდობლად უნდა ამოვშანთოთ როგორც მართლსაწინააღმდეგო, ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალური მოქმედება. პარტიულ კომიტეტებს ნიადაგ უნდა ახსოვდეთ და ითვალისწინებდნენ, რომ რთულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში ყოველი ადამიანის მორალურ ფაქტორებს, ზნეობრივ დისციპლინას, თანამდებობის მიუხედავად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

პოლიტიკური სიფხიზლის ცნებამ დღეს შეიძინა სრულიად კონკრეტული აზრი, კონკრეტული შინაარსი. ხელი უნდა ავიღოთ ზოგად სიტყვებზე, ლოზუნგებსა და მოწოდებებზე, რომელთა მიღმა ხშირად არ იგრძნობა კონკრეტული მუშაობა, მიზანმიმართული მოქმედება. როდესაც ნიადაგ და მიზანდასახულად ვიბრძვით კლასობრივი სიფხიზლის გასაძლიერებლად მუშაობაში მეტი კონკრეტულობისა და სისტემატურობისათვის, არ უნდა დავუშვათ გამარტივება და პრიმიტივიზმი, საჭიროა ყოველმხრივ უზრუნველვყოთ სიფხიზლის სწორედ პოლიტიკური არსის მატერიალიზაცია, დავუკავშიროთ იგი სახელმწიფო, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს.

ამ პასუხსაგები ამოცანის თვისებრივი უზრუნველყოფა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია თითოეული მოქალაქის, მით უმეტეს თანამდებობის პირების პოლიტიკური კულტურის დონეზე, რომელთა ქცევა და ცხოვრების წესი სრულად უნდა შეესაბამებოდეს სოციალისტური დისციპლინის მაღალ მოთხოვნებს. და ეს საკითხები შემთხვევიდან შემთხვევამდე როდი უნდა აღიძრას ხოლმე. სიფხიზლე და წინდახედულება, გამწვავებული კლასობრივი ალღო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური ცხოვრების ნორმა, მთელი მუშაობის უცილობელი პირობა უნდა გახდეს. მინდობილი სამუშაო უბნისათვის ყოველი ადამიანის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხებისადმი დამოკიდებულება — აი, კრიტერიუმი, რომლითაც ფასდება თითოეული კოლექტივის პოლიტიკური, სოციალური მოწიფულობა.

ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი. ეს მარტოოდენ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტისადმი მიმართვა როდია. გამარჯვების დღესასწაული უნდა გახდეს ახალგაზრდა თაობის საგულისხმო ვაჟკაცობის გაკვეთილი და საბჭოთა იარაღის ძალისა და ძლიერების კიდევ ერთი შეხსენება დასავლეთის მეტისმეტად თავფიცხელი პოლიტიკოსებისათვის.

საჭიროა აქტიურად გამოვიყენოთ ეს მოვლენა იდეურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, გავააქტიუროთ იდეოლოგიური და კონტრპროპაგანდისტული მუშაობა. ამხ. კ. უ. ჩერნენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ღირსსახსოვარი იუბილე ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს პოზიციის, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ამასთან დასძინა, რომ უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მიმდინარე მუშაობა, კიდევ უფრო მტკიცედ ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს სამშობლოს სიყვარულისა და მტრის სიძულვილის გრძნობა, მაღალი პოლიტიკური, კლასობრივი სიფხიზლე, გმირობის მუდმივი მზადყოფნა. როდესაც ამ მოთხოვნის რეალიზაციის გზებს ვსახავთ, იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ დიადი გამარჯვების 40 წლისთავის სამზადისის დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა, როგორც ეს ყოველთვის ყოფილა წარსულში, გავაჩაღოთ ამიერკავკასიის სასაზღვრო და სამხედრო ოლქების პოლიტორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულის სამზადისი და ზეიმი გახდება კიდევ ერთი იმპულსი იმისა, რომ გავაძლიეროთ მშრომელი მასების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, დიდი პოლიტიკური სიფხიზლის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმის უსაზღვრო ერთგულების, ჩვენი დიადი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების შეუვალობის უზრუნველყოფის სულისკვეთებით.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესებისათვის პოლიტიკური სიფხიზლის შემდგომი გაძლიერების შესახებ.

თათბირმა ნათლად ცხადყო პარტიის, არმიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მშრომელის მზადყოფნა — დაუღალავად განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება, საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალისტთა ყოველგვარ ხრიკებს, ამრავლონ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

• • •

ამავე დღეს ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე და თათბირის სხვა მონაწილენი იყვნენ ქ. ბათუმის წითელდროშოვანი სასაზღვრო რაზმის ერთ-ერთ საგუშაგოზე. ისინი გაეცნენ მესაზღვრეთა საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებას, დაესწრნენ მათს წვრთნას. საგუშაგოს სასაზღვრო სამსახურის წიგნში სტუმრებმა დატოვეს ჩანაწერი, რომელშიც მაღალი შეფასება მისცეს მეომართა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, უსურვეს ქვეგანაყოფის კომუნისტებს, კომკავშირელებს, მთელ პირად შემადგენლობას კვლავაც იყვნენ მოწინავეთა რიგებში, ამრავლონ მესაზღვრეთა სახელოვანი ტრადიციები (საქინფორმი).

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

საუკეთესო ნიმუშების დონეზე

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივი წლის დამდეგიდანვე გულმოდგინედ შეუდგა ეკონომიკური ექსპერიმენტის ხორცშესხმას, რომელიც ბევრ სიკეთეს პირდება თითოეულ მუშაკს. მაინც, რა არის ამ ექსპერიმენტის მიზანი? უპირველესად პროდუქციის სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, ეგრეთ წოდებული მიწოდების გეგმების 100 პროცენტით შესრულება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, დანახარჯების შემცირება ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭირო გახდა თითქმის ყველა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე ზრუნვა.

როგორც გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ამირან თალაკვაძემ გვითხრა, ექსპერიმენტის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციის გამოშვების ზრდას, საწარმოს სრულ ტექნიკურ აღჭურვილობას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, შრომითი კოლექტივების ინიციატივის გაფართოებას. მნიშვნელოვნად იზრდება თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა და დაინტერესება მუშაობის საბოლოო შედეგებით.

დგინდება გრძელვადიანი ნორმატივები ხელფასის ფონდის წარმოქმნის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნორმატიული სუფთა პროდუქციის გათვალისწინებით. ნორმატივის დადგენისას კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შრომის ნაყოფიერების ზრდა. საჭიროა დავიცვათ თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის. ექსპერიმენტის თანახმად, სტაბილური ნორმატივების პირობებში, ხელფასის ფონდში მიღებული ეკონომია მატერიალური წახალისების ფონდში უნდა გადავრიცხოთ და გამოვიყენოთ მიზნობრივი დანიშნულებით. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შესრულდება პროდუქციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, გარდა ამისა, მატერიალური წახალისების ფონდის აბსოლუტური სიდიდე წლის განმავლობაში 15 პროცენტით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის გეგმა სახელშეკრულებო დისციპლინის გათვალისწინებით 100 პროცენტით შესრულდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დადგენილი ნორმატივები, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების და საბინაო მშენებლობისათვის სახსრების გამოყენების საკითხს თვით წარმოების ხელმძღვანელობა წყვეტს. იქმნება ერთიანი ფონდი მატერიალური წახალისებისა, რაც, უპირველესად, იმით გამოიხატება, რომ შესაძლებელი გახდა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და მოსამსახურეებს, ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, სამუშაოთა შეთავსებისათვის გაუზარდონ ხელფასი 50 პროცენტით. მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომლებიც მძიმე პასუხსაგებ სამუშაოზე არიან დასაქმებული ხელფასი 250 მანეთამდე გაეზრდებათ. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემიის მაქსიმალური თანხა 40 პროცენტიდან 50 პროცენტამდე გადიდდა.

გაერთიანებაში წლის განვლილ რვა თვეში გეგმის გადამეტებით დამზადდა 867 ათასი მანეთის და რეალიზებულია 463 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გათვალისწინებული ერთის ნაცვლად 3 პროცენტით გადიდდა. პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტის ნაცვლად 1,6 პროცენტით შემცირდა. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია, რომელიც წარმოების მთლიან მოცულობაში 55,6 პროცენტს შეადგენს, მომხმარებელს 234,8 ათასი მანეთით მეტი გაუგზავნა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია გაერთიანების მეთაური საწარმოს ფართო მოხმარების საამქრომ. წლის განვლილ პერიოდში სავაჭრო ორგანიზაციებს [illegible] 247 ათასი მანეთის [illegible] ნათ, წარმოების ზრდის ტემპმა [illegible] შედარებით 145,9 პროცენტი შეადგინა, ეს კი [illegible] შედეგია.

წლის განვლილ პერიოდში დავალება ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა.

დღეისათვის გაერთიანებამ ხელფასის ფონდიდან 51 ათასი მანეთი დაზოგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს აქ ყველაფერი რიგზე იყოს. ექსპერიმენტის პირობებში გათვალისწინებულია შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების ფართო დანერგვა. ექსპერიმენტის აუცილებელი პირობაა აგრეთვე მოგების გეგმის შესრულება. სწორედ ამ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული კოლექტივის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა.

გაერთიანება ამჟამად ძირითადად, მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფილია. მაგრამ ზოგჯერ მაინც ირღვევა მუშაობის რიტმი. ზოგიერთი მასალის ან სათადარიგო ნაწილის უქონლობა აფერხებს საქმეს.

გაერთიანებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკურ სიახლეს. ამ მხრივ განვლილ რვა თვეში დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა მოწინავე ტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა 635 ათასი მანეთი შეადგინა. ვერცხლისა და შავი მასალების დაზოგვის მიზნით დაინერგა ახალი ტიპის გამომრთველები.

ახალი ტიპის ელექტროაპარატურა გამოიყენება ელექტრომაგნიტური აპარატების ან უკონტაქტო ელემენტების მიმართულებისა და სიდიდის მართვისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ათვისებული პროდუქციიდან ხუთს საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებს.

გაერთიანების ნოვატორებს მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ხარკოვისა და სტავროპოლის მონათესავე საწარმოებთან, ჩებოქსარის სპეციალიზებულ ინსტიტუტთან.

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანება მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. დაგეგმილია 1985-1986 წლებში გახსნდეს გაერთიანების ორი ქარხანა, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია რუსთავის სამაგრების ქარხნის რეკონსტრუქცია.

ყოველივე ამის შედეგად მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის პროდუქციის გამოშვების მოცულობა 75 მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

წლეულს კი გაერთიანების მშრომელები 60 მილიონ 700 ათასი მანეთის ნაწარმის დამზადებისათვის იბრძვიან.

ლ. ქინქლაძე.

დამოყვრებულ გულთა სითბო

საზღვრები გაიფართოვა საქართველოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მეგობრობის ტრადიციულმა დღესასწაულმა. ამცნო რა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს შეკრების ამბავი, გასულ კვირა დღეს, როგორც ყოველთვის, დღესასწაული გაიმართა ზუგდიდში, ძველი რუხის ციხის გალავანთან. აქედან კი დღესასწაულმა შავი ზღვის სანაპიროზე გადაინაცვლა.

იქ, სადაც იშვა ტრადიცია

რუხი, 1984 წლის 23 სექტემბერი. ხუთი წელი გავიდა იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა ფანფარების ხმებმა პირველად ამცნო აქაურობას ახალგაზრდული დღესასწაულის ამბავი. თითქოს არც ისე დიდი დროის მონაკვეთია. მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანი, რაოდენ მდიდარია ნაყოფი, რომელსაც ყოველი ასეთი დღესასწაული იძლევა. ვერ დათვლი, რამდენი ადამიანი გაიცნეს და დაამეგობრეს შეხვედრებმა რუხის მიწაზე, რამდენისათვის გახდა სასარგებლო საქმიანი კონტაქტების, ნაყოფიერი თანამშრომლობის დასაწყისი. რესპუბლიკის ათასობით ქალიშვილისა და ვაჟიშვილისათვის ეს შეხვედრები ძმობის, ინტერნაციონალიზმის ნამდვილ უნივერსიტეტად იქცა.

მკაფიოდ და თავისებურად განუმეორებელია რუხის ყოველი დღესასწაული. თავს უყრის რა თავისი დროშების ქვეშ რესპუბლიკის ახალგაზრდობას, იგი უცვლელად ეპატიჟება ვეტერანებსაც. შორეული, ბრძოლის ალით განათებული წლების გმირებს, იმათ, ვისგანაც ახალგაზრდობა მემკვიდრეობით იღებს სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

გვახსენდება ახალგაზრდობის პირველი დღესასწაული ენგურის ნაპირებზე. აქ, ნალომის ლეგენდარულ მიწაზე, შევხვდით 82 წლის სილიბისტრო შონიას. ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის უხუცესის ოჯახში შემონახულია მედალი, რომელიც გასული საუკუნის შუახანებში მიიღო მისმა პაპამ მიქელ დავითის ძე შონიამ, რომელიც იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს უცხოელ დამპყრობლებთაგან. მისი ღირსეული შთამომავალი ასევე ვაჟკაცურად და თავდადებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. და მის მხარდამხარ, როგორც შორეულ წლებში მისი პაპის მხარდამხარ ქართველებთან ერთად იყვნენ აფხაზები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ოსები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მოძმე გულთა კავშირი შთააგონებდა მათ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის წლებში მას შვილებს უხმობდა მხედრული გმირობისათვის. იგი დღესაც უხმობს სახელოვანი საქმეებისათვის მათ შვილიშვილებს, რომლებიც აშენებენ ბამსა და ენგურჰესს, მოჰყავთ ჩაის, ყურძნის, ციტრუსების რეკორდული მოსავალი...

ამ მარადიული კავშირის თვისებურ ძეგლად იქცა სწორედ რუხის [illegible] გალავანთან ყოველ შემოდგომაზე ერთიანობისა და ძმობის დღესასწაული. ხარობს ნორჩი ნაძვები და კვიპაროსები ნესტორ ლაკობას სახელობის მეგობრობის პარკში. მეგობრობის ხემ ღრმად გაიდგა ფესვები ენგურის ნაპირას, სადაც დამოყვრებული ხალხების ურღვევი კავშირის სიმბოლოდ დგას, აფართოებს თავისი საქმიანობის სფეროს მეგობრობის სახალხო აკადემია...

განსაკუთრებული აზრით, განსაკუთრებული შინაარსით ივსება ყოველი ახალი შეხვედრა რუხის მიწა-წყალზე. ამ შეხვედრების ინიციატორი და ორგანიზატორი — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ისინი ამაღლებელი, მკაფიო, დაუვიწყარი იყოს.

— ალბათ, არც ერთ ჩვენგანს, იმ პირველი ახალგაზრდული დღესასწაულის მონაწილეს არ გვიფიქრია, რომ წილად გვხვდა ბედნიერება ახალი ტრადიციის დაბადების სათავეებთან ვმდგარიყავით, — თქვა ენგურჰესის მშენებლობის კლდეზე მცოცავეთა ბრიგადირმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა [illegible] აკობიამ. — და იგი დამკვიდრდა, რადგან მისი არსი თანაბრად ახლობელია ყველასათვის, შეესაბამება დროის სულისკვეთებას.

თვალნათლივ აშკარად იგრძნობოდა ეს ახლანდელ დღესასწაულზე. მისი შესანიშნავი პროლოგი გახდა წინა დღეს გამართული შეცადინეობა მეგობრობის სახალხო აკადემიაში. ისტორია და თანამედროვეობა მჭიდროდ გადაეჭდო ერთმანეთს აქ თბილისელი და სოხუმელი მეცნიერების ნაამბობში. წარმოაჩინდნენ რა ქართველი და აფხაზი ხალხების, ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკისა და ქვეყნის ხალხების ერთიანობის სათავეებს, ისინი მსმენელებს თვალწინ უშლიდნენ წარსულის ამაღლებულ ფურცლებს, დღევანდელი ცხოვრების კონკრეტული მაგალითებით დამაჯერებლად ცხადყოფდნენ თაობათა მემკვიდრეობითობას, მოძმე გულთა კავშირს, მძლავრ აღმშენებლობით ძალას.

მეორე დილით კი ამის საუკეთესო მაგალითი გახდა თვითონ დღესასწაული. მისი მონაწილენი, რომლებიც წარმომადგენლობენ რესპუბლიკის ახალგაზრდობას, მის ხვალინდელ დღეს, შეიკრიბნენ აქ წითელი ალმებითა და ტრანსპარანტებით, რათა კიდევ ერთხელ ცხადყოთ უფროს თაობათა ტრადიციებისადმი უსაზღვრო ერთგულება, დაიდონ ფიცი, რომ არ უღალატებდნენ მათს იდეალებს.

...12 საათია, გაისმის სამშობლოს, ბედნიერების, გულთა ერთიანობის სადიდებელი, საზეიმოდ მორთულ ტრიბუნაზე, რომელიც „მეგობრობის“ სასახლის ძირში ციცაბო გორაკზე აღმართავთ, მოჩანს ემბლემა — იგი გამოხატავს პლანეტის ფონზე ხელის ჩამორთმევას.

იწყება საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჩარავამ. იგი გულთბილად და გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ლორთქიფანიძეს.

— წმინდაა ჩვენთვის ეს ადგილი, — თქვა მან, — ადგილი, სადაც ომის მძიმე განსაცდელის ჟამს ძმობილები ერთმანეთის მხარდამხარ აღდგნენ საძულველ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ადგილი წმინდაა ჩვენთვის, შთამომავლებისათვის, რადგან უნდა განვაგრძოთ და ვამრავლოთ ინტერნაციონალიზმის, მეგობრობისა და ძმობის ტრადიციები, ჩირაღდანივით გადავცეთ ისინი 21-ე საუკუნეს. ამ საპატიო მისიის ჩვენი თაობა ღირსეულად შეასრულებს. ასეთი მტკიცე რწმენის საფუძველია ჩვენი ახალგაზრდობის დღევანდელი განწყობილება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი მამობრივი ზრუნვა კომკავშირისათვის, მოზარდი ცვლისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღება და მზრუნველობა ჩვენი რესპუბლიკის მომავლისათვის. ჩვენ ძლიერი ვართ ჩვენი მეგობრობით, ვამაყობთ ჩვენი მეგობრობით. ცხოვრების გზაზე კვლავაც ვივლით მამა-პაპათა დროშებით, რომლებსაც მაღლა ვატარებთ და რომლებზეც წარწერილია მშვიდობა, შრომა, მეგობრობა, ძმობა, სიყვარული!

ჩვენ, აფხაზეთის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მუდამ გვახარებს ზუგდიდელ ძმებთან სტუმრობა. — თქვა კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. აშუბამ.—მაგრამ ამჯერად გადავწყვიტეთ ეს დღესასწაული განვაგრძოთ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში. გულითა და სულით გეპატიჟებით ყველას, ძვირფასო მეგობრებო, სტუმრად ჩვენთან ოჩამჩირის რაიონში.

დიდებული „მრავალჟამიერი“ გუგუნებს მეგობრობის პარკში. მას ცვლის მუსიკალური და ქორეოგრაფიული სურათები საუკეთესო პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების შესრულებით, რომლებიც ადიდებენ მშვიდობასა და მეგობრობას, ერთობასა და ძმობას. დგება საზეიმო წუთი. შთამბეჭდავ მელოდიათა ჰანგებზე რესპუბლიკის კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლების ესკორტით შემოაქვთ ცოცხალი ყვავილების გვირგვინი. ამ გვირგვინით ამკობენ ავტომანქანას, რომელიც მიდის სოფელ კოკში, ნალომის გმირთა ძეგლთან, დაძმობილებულ მეომართა მარადიული უკვდავი გმირობის ღირსშესანიშნავად რომ აღმართულა.

ტრადიცია ფესვებს იდგამს

ოჩამჩირე. დღესასწაული გრძელდება. იგი გრძელდება რუხიდან ოჩამჩირემდე მიმავალ მთელ გზაზე, სადაც მიემართება ავტობუსების ქარავანი, რომლებსაც მისი მონაწილენი მიჰყავს, რათა ენგურის მეორე ნაპირზე, შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ძალით აღანთონ იგი.

...და აი, საქართველოს ახალგაზრდობის ტრადიციული შეხვედრის მოწოდების ხმა აფხაზეთში გაისმა. ოჩამჩირელები სტუმრებს შეხვდნენ ღია გულით, პურ-მარილით, ხოლო სასიხარულო შეხვედრა რომ უკვდავყონ, ისინი წაიყვანეს ახალ მოედანზე ქალაქის ცენტრში და შესთავაზეს სახელი დაერქმიათ: „მეგობრობის მოედანი, მეგობრობის მოედანი!“ — ერთსულოვნად გაიძახოდნენ დღესასწაულის მონაწილენი.

ასე დაიწყო მზით გაჩახჩახებულ ოჩამჩირეში მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული. შემდეგ ქალაქის სტადიონის ტრიბუნები და მწვანე მოედანი მასპინძლებითა და სტუმრებით აივსო.

თითოეული ჩვენგანისათვის ახლობელი და გასაგებია მისალმებებისა და დარიგების სიტყვები, რომლებითაც ზეიმის მონაწილეებს მიმართეს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. აშუბამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ლაკობას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ლაკერბაიამ, ენგურჰესის მშენებლობის მებეტონეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ზ. ნარსიამ.

სცენიდან ჩამოდიან ორატორები და მათ ადგილს მაშინვე იკავებენ მუსიკოსები, მოცეკვავენი, მომღერლები. ჟღერს აფხაზური, ქართული, რუსული სიმღერები, მაყურებლებს თვალს სტაცებს შესანიშნავი ხალხური ცეკვები.

შუა დღესასწაულის დროს სტადიონის მწვანე მინდვრის თავზე გამოჩნდა ვერტმფრენი, რომელიც ნელ-ნელა ეშვება ფეხბურთის მოედანთან. მქუხარე ტაშით ხვდებიან ტრიბუნები დედამიწაზე ჩამოსულ „ნორჩ კოსმონავტს“, რომელმაც დღესასწაულზე ჩამოიტანა სასიხარულო ამბები საბჭოთა მშვიდობიანი ცხოვრების შესახებ.

საყვარელი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით ჩაუვლის სტუმართა ტრიბუნებს ახალგაზრდა მუშათა, მეჩაიეთა, მშენებელთა, მებადეთა, მეზღვაურთა, მესაზღვრეთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, სპორტსმენთა რაზმები. დღევანდელი დღესასწაული არა მარტო მხიარულება, ყვავილები, მუსიკა, ცეკვებია, არამედ საერთო მიზნით გაერთიანებულ ახალგაზრდა მშრომელთა საქმიანი შეხვედრაც არის. მათი ტრადიციული ყოველწლიური შეხვედრის ემბლემა — მტკიცედ გადაჭდობილი ორი ნაჯაფი მარჯვენა — ოჩამჩირის დღესასწაულის საღარბაზო ბარათიც გახდა: იგი სიმბოლურად გამოხატავს ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას, მათს მისწრაფებას იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიკეთის მხარეს, სტუმართმოყვარეობის ქვეყანას ოდითგანვე უწოდებენ აფხაზეთს, მაგრამ რაოდენ კარგად ესადაგება ეს სიტყვები მას დღეს. სამოცდაათი ეროვნების წარმომადგენელთაგან შემდგარი მისი მშრომელების გარჯით იქმნება ის, რითაც მთელი ქვეყანა ამაყობს. ეს არის ჩაის, ციტრუსოვანთა რეკორდული უხვი მოსავალი, ეს არის ახალი ფაბრიკა-ქარხნები და მათი პროდუქცია, საცხოვრებელი სახლების ახალი უბნები. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 70 ათასი ქალიშვილიდან და ვაჟიშვილიდან ორი ათასზე მეტმა შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი.

მათგან საუკეთესოები შრომითმა კოლექტივებმა გამოგზავნეს ახალგაზრდობის დღესასწაულზე. კარგ გუნებაზე არიან ისინი. ახარებთ ახლახან შეჯამებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, რომლის ხელშეკრულებაც შარშან რუხში დადეს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“, ქუთაისის ელექტროტექნიკური, ბათუმისა და თბილისის მანქანათმშენებელი საწარმოების კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების წარმომადგენლებმა. მათ ანგარიშზეა ბევრი შრომითი გამარჯვება და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ განმტკიცდა მუშური მეგობრობა. წლევანდელ დღესასწაულზეც მათ ახალი ხელშეკრულებანი დადეს შეჯიბრების შესახებ. გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ აიდა გუბაზის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი ამიერიდან შეეჯიბრება ახალგაზრდა მეჩაიეთა კოლექტივს, რომელსაც ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე დოდო ქობალია მეთაურობს. კვლავ დადეს ხელშეკრულება სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ რიმა გუზბამ და ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ მანანა ნანავამ.

...მეგობრობა გულებს ანათესავებს. დღეს აფხაზური სოფლის ბესლახუბის წარმომადგენელი მაყვალა გელაშვილი ქართული სოფლის კონჩკათის ეშბას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე ნათელა მახარაძეზე ამბობს: „დებივით ვმეგობრობთ“. მათ შორის შეჯიბრებამ დასაბამი მისცა ბევრი აფხაზი და ქართველი მეჩაიის მეგობრობას, შრომით მეტოქეობას კოლმეურნეობებსა და რაიონებს შორის.

დღესასწაული სტადიონზე დამთავრდა. სტუმრები და მასპინძლები კომფორტულ „იკარუსებში“ სხდებიან და მიემგზავრებიან სოფლებში, სადაც ზეიმობა გრძელდება. „ზიალა შეაბეით! — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ — ამბობს მთელი აფხაზეთი.

ახალგაზრდობის დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები. (საქინფორმი).

სურათებზე (ზემოთ): აფხაზი დღეგრძელნი ოჩამჩირეში გამოსვლისას; დღესასწაული რუხში.
ზ. კიკვაძისა და ა. მამაცარიანის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

პარტიის ოჩამჩირის რაიკომი

ჩვენი გაზეთის 12 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „უპასუხისმგებლობა არავის ეპატიება“, რომელიც შეეხებოდა ქალაქ ოჩამჩირის სანიტარულ წესრიგსა და ქალაქის კეთილმოწყობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამის გამო პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანი **ო. ჟვანია** გვწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და სუსტი მუშაობისათვის მიუთითა საქალაქო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ვ. ბუტბა), სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს ო. კოსტუბავას, ვ. გადელიას, ი. ჯონუას, დ. ცანავას, მ. გრიგორიანს.

საბინაო მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა თაობაზე, რომლებზეც ლაპარაკია გამოქვეყნებულ წერილში, რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს საბინაო მშენებლობის გეგმებისა და შესრულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიზანმიმართული მუშაობა, სამშენებლო ქვეგანაყოფების მთელი რიგი ხელმძღვანელები და მათ შორის №41 მოძრავი მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელი ნ. ბახუა მკაცრად გააფრთხილეს.

ცეკავშირის გამგეობა

„კომუნისტის“ 7 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის თაობაზე „როცა ხელფასი იგვიანებს, წახალისებაზე ვინღა ფიქრობს“ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. **კრიმინაშვილმა** მოგვწერა:

ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული საკითხი, და ითქვა, რომ სისტემის კოოპორგანიზაციებში ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად მუშა-მოსამსახურეებს მაინც უგ[illegible] „საქკოოპშენის“ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სწორია.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის საყვედური გამოეცხადათ „საქკოოპშენის“ ტრესტის და „საქკოოპრემმონტაჟის“ ტრესტის მთავარ ინჟინრებს ნ. მელიქიშვილს და კ. მანიას, სიღნაღის რაიკოოპკავშირის პურკომბინატის დირექტორს გ. უშუთაშვილს, მთავარ ბუღალტერს ვ. ჯავახიშვილს, მარნეულის სასურსათო კომბინატის მთავარ ბუღალტერს რ. ლომიძეს.

მეცნიერები ეძიებენ

ისახება პერსპექტივა

ღრუბლებში მიმდინარე საავდრო პროცესების ჩახშობა ისევე შეიძლება, როგორც სეტყვისა — ყინულწარმომქმნელი სტანდარტული ნივთიერებების მეშვეობით. ასეთი დასკვნა გამოიტანეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის, ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიისა და ლენინგრადის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებმა ალაზნის ველზე განხორციელებული ექსპერიმენტების სერიის შემდეგ. აქ სოფელ რუისპირში მოეწყო ქართველ გეოფიზიკოსთა საცდელი პოლიგონი.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ღრუბლების ელექტრული მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნალექების წარმოშობისა და მოსვლის პროცესებთან. შენიშნულია, რომ ღრუბლის დაელექტროების ინტენსიობა იზრდება მასში მსხვილი სეტყვის მარცვლების გაჩენისა და გადიდების დროს. რა მოხდება, თუ ნებას რომ დავაჩქარებინოთ ეს პროცესი? აკი ასეთი პრინციპით წარმოებს, კერძოდ, აქტიური ზემოქმედება სეტყვის ღრუბელზე, როცა მასში შეგვაქვს ყინულწარმომქმნელი რეაგენტები, მაგალითად, იოდოვანი ვერცხლი, ღრუბლებში მკვეთრად მატულობს სეტყვის მარცვლების რაოდენობა. ამის შედეგად ვერც ერთი მათგანი ვერ ასწრებს საშიშ სიდიდემდე გაზრდას და წვრილ-წვრილი მარცვლების სახით ცვივა მიწაზე ისე, რომ არაფერს ვნებს მოსავალს. იქნებ იგივე რამ ხდება ღრუბლის დიელექტროვების შემთხვევაშიც?

ექსპერიმენტებმა დაადასტურეს სპეციალისტთა ვარაუდი, როდესაც წარმოშობილ საავდრო ღრუბელზე დაიწყეს ზემოქმედება სეტყვასაწინააღმდეგო ნივთიერებებით, მეცნიერებმა შეძლეს ჩაეხშოთ ელექტრული პროცესები, რომლებმაც გაძლიერება იწყეს ღრუბლებში. წვიმის ბოლქვა ღრუბელი ვეღარ გადაიქცა ძლიერ საავდრო-სეტყვიან ღრუბლად.

ისახება პერსპექტივა შემუშავდეს არა მარტო ღრუბლებში მიმდინარე საავდრო პროცესებზე ეფექტიანი ზემოქმედების, არამედ, აგრეთვე არსებული — სეტყვასაწინააღმდეგო მეთოდების სრულყოფის ეფექტიანი საშუალებანი. (საქინფორმი).

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

სერიოზული გამოცდა

სტუდენტთა ნაშრომების საკავშირო კონკურსზე საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა პირველი ადგილი

● ●

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდა სპეციალისტების რიგიანად მომზადება მათთვის სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის ჩვევების საფუძვლების გამოუმუშავებლად პრაქტიკულად შეუძლებელია... ჩვენი ქვეყნის საწარმოები და სამეცნიერო დაწესებულებები უმაღლესი სასწავლებლებისაგან მოელიან ისეთ მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც ძალუძთ დამოუკიდებლად გადაჭრან რეალური პრაქტიკული და თეორიული ამოცანები, მომავლის მოთხოვნების გათვალისწინებით შეასრულონ სამუშაო. ამიტომაც გასაგებია, რომ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. იზრდება და ფართოვდება მისი მოცულობა.

აი, კერძოდ, ჩვენთან, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ძნელია დაასახელო რაიმე სამეცნიერო თუ სასწავლო-მეთოდიკური ღონისძიება, რომელშიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ სტუდენტები. სასწავლებელში მარტო 21 სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროა, სადაც ხშირად საკმაოდ მაღალი სამეცნიერო დონისა და რეალური პრაქტიკული დანიშნულების სამუშაოები სრულდება. გარდა ამისა, შექმნილია სხვადასხვა თემატიკის სტუდენტური სამეცნიერო წრეები. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭო ახორციელებს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კომპლექსური გეგმის დანერგვას გამომშვებ კათედრებზე.

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდა სტუდენტთა ნაშრომების საკავშირო კონკურსია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ სპეციალობებში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ **წლევანდელ კონკურსში ჩვენი ინსტიტუტიდან წარგზავნილი 240 ნაშრომიდან ბევრი საუკეთესოდ აღიარეს. კერძოდ, ათი ნაშრომის ავტორებმა დაიმსახურეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მედალი და ფულადი პრემია, ხუთმა — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საპატიო დიპლომი და ფულადი პრემია, 15 ნაშრომს მიენიჭა საკავშირო სამინისტროს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო დიპლომი და სხვა.** გარდა ამისა, ორი ნაშრომი წარდგენილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მედლის მოსაპოვებლად.

ინსტიტუტის სტუდენტთა წლევანდელი შედეგები აჭარბებს გასული წლების მაჩვენებლებს, **ჩვენ უკვე მეორე წელია ზედიზედ პირველ ადგილს ვიკავებთ ესოდენ ძლიერ და წარმომადგენლობით კონკურსში.**

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს დღეს განსაკუთრებით სჭირდებათ კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ცნობილია, რომ ხშირად თვით კვალიფიციური სპეციალისტებიც ვერ მიჰყვებიან კვალში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, მუშაობენ მოძველებული ფორმებითა და მეთოდებით. ახლა წარმოუდგენელია კვალიფიციური ინჟინერი, რომელიც სრულყოფილად ვერ ფლობს გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამირების საფუძვლებს. ამ მოსაზრების გამო, რომ უკანასკნელ ხანს ინსტიტუტში შეიქმნა მანქანათმშენებლობაში პროგრამული მართვის კათედრა, რომელიც უახლოეს წლებში ამ პროფილის ინჟინრებს მოუმზადებს რესპუბლიკას. სწორედ ამ კათედრაზე მომუშავე სტუდენტთა ჯგუფმა (ხელმძღვანელები დოცენტები შ. ასათიანი, ი. ბოგოიავლენსკი, ლ. ჩხაიძე, ი. კუზმინი, კათედრის გამგე დოცენტი ი. მიქაძე) შეასრულა სამეცნიერო სამუშაო, რომელიც ამჟამად საცდელად ინერგება მოსკოვის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული და ზოგადი თბოტექნიკის კათედრასთან 7 წელია არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე (სამეცნიერო ხელმძღვანელი უფროსი მასწავლებელი ა. გიორგობიანი, კათედრის გამგე პროფესორი ი. მეგრელიძე). თავისი არსებობის მანძილზე ამ წრეში გაერთიანებულმა სტუდენტებმა საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს. საკმარისია ითქვას, რომ სტუდენტებს მიღებული აქვთ 10 საავტორო მოწმობა, მოწონებულია მათი 15 რაციონალიზატორული წინადადება, წრის წევრთა მიერ შექმნილ მოწყობილობებსა და დანადგარებს იყენებენ მრეწველობაში, ამან კი 100.000 მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ელექტრონიკისა და ელექტრომექანიკის, სამშენებლო ფაკულტეტების სტუდენტთა წარმატება.

ჩვენი ორი სტუდენტის ნაშრომი (სამეცნიერო ხელმძღვანელი — დოცენტი ლ. ვარაზაშვილი, კათედრის გამგე — პროფესორი დ. ჩხეიძე), რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრასის დეტალურ საინჟინრო გეოლოგიურ კვლევას ეძღვნება, კონკურსზე მედლით აღინიშნა და ნაშრომი წარდგენილია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მედლის მოსაპოვებლად.

არანაკლებ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის საერთო მაჩვენებლებს ემატება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წლევანდელი წარმატება ამავე კონკურსზე — 3 მედალი და 6 დიპლომი. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტელებს კარგი ტრადიციები აქვთ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვართ, ქართული უმაღლესი სასწავლებლების მედროშე მომავალში თავისი აღსაზრდელების უფრო მეტსა და ღირსეულ გამარჯვებას იზეიმებს.

გვახარებს აგრეთვე ზოოვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტთა მიღწევები.

მაგრამ აქვე უნდა გულწრფელად აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა როდი გამოიჩინა თავი ესოდენ საპრესტიჟო და წარმომადგენლობით კონკურსზე, განა დამაფიქრებელი და გულსატკენი არ არის, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი საერთოდ არ მონაწილეობს კონკურსში? ძნელი დასაჯერებელია, კონკურსისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ უარყოფითად არ იმოქმედოს მომავალი სპეციალისტის კვალიფიკაციაზე. კონკურსში მონაწილეობას ხომ წინ უძღვის სტუდენტთა მრავალი წლის სერიოზული მუშაობა ინსტიტუტის ლაბორატორიებში და სამრეწველო ობიექტებზე.

ერთის მხრივ, ბუნებრივია და საამაყოც, რომ როგორც წინათ, ისევე ახლაც საკავშირო კონკურსის ჯილდოების უმეტესი წილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ხვდათ. მაგრამ, მეორეს მხრივ, რესპუბლიკაში, სადაც 19 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს განკარგულებაში მრავალი მეთოდური სახელმძღვანელოა და, სადაც საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდება სტუდენტთა სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის სრულყოფასა და გაფართოებას, მოგვეთხოვება არა ცალკეული, არამედ ყველა უმაღლესი სასწავლებლის ერთიანი და ორგანიზებული მუშაობა. პირველყოვლისა, აუცილებელია მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მეთოდური მუშაობის გაძლიერება და კონტროლის ამაღლება.

ამგვარი არცთუ უმნიშვნელო ნაკლოვანებების მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის მაჩვენებლები ყოველწლიურად უმჯობესდება. შარშანდელი კონკურსის შედეგების მიხედვით საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები საერთო მაჩვენებლებით მესამე ადგილზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის (181 მონაწილე უმაღლესი სასწავლებელი) და უკრაინის (55) შემდეგ. ჩვენი წლევანდელი შედეგი კი თითქმის ორჯერ უკეთესია შარშანდელზე.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისა და მიღწეული წარმატებებისათვის დათვალიერება-კონკურსის შედეგების მიხედვით სამინისტროს საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

მიღწეული წარმატებები კიდევ უფრო ზრდის არა მარტო ჩვენი სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებელთა, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივთა პასუხისმგებლობას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ უფრო სრულად გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და უნარი, ამთავითვე ემზადოს დამოუკიდებელი ცხოვრების რთული და საპატიო გამოცდისათვის.

ალ. ნოზაძე,
პროფესორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე;

ნ. ჩხაიძე,
დოცენტი, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკავშირო საბჭოს წევრი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენი საბჭოური ცხოვრების წესი

მრავალშვილიან ოჯახს...

არქიტექტორებმა ვერ გამოუძებნეს შესაბამისი პროექტი ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მეჩაიეების სულიკო და ვახტანგ ქვანიების ოჯახის სახლს. მაშინ შეუკვეთეს ორსართულიანი, რვაოთახიანი სახლის ინდივიდუალური პროექტი. ეს გასაგებიც არის: ოჯახში ხომ თორმეტი ბავშვია!

სახლი, რომელსაც საბჭოთა მეურნეობა თავისი სახსრებით აშენებს, თითქმის მზად არის.

ახალმოსახლეობას ყველანი ერთად გადავიხდით, — თქვა მთავარმა აგრონომმა გ. ლატარიამ — კოლექტივი მეგობრულად დაეხმარა მრავალშვილიან ოჯახს: მძღოლებს საშენი მასალა მოჰქონდათ, ხოლო მუშებს თავისუფალ დროს ამოჰყავდათ კედლები, აპირკეთებდნენ ნაგებობას.

სოფლის კეთილმოწყობისათვის დიდძალი სახსრების გადარიცხვის, საბჭოთა მეურნეობის მუშებისადმი დახმარების შესაძლებლობას იძლევა დიდი შემოსავალი. აქ მაპროფილებელი კულტურაა ჩაი. მისი მოვლა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ, რომელიც უკვე მოსავალს უზრუნველყოფს, მკვეთრად შეამცირა ჩაის თვითღირებულება.

ამ სეზონში საბჭოთა მეურნეობამ გადაწყვიტა დაამზადოს გეგმაზე 400 ტონით მეტი ჩაი, უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი. ეს ნიშნავს, რომ მეურნეობის რენტაბელობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. წელს საბჭოთა მეურნეობას დაგეგმილი აქვს სოციალური საჭიროებებისათვის გამოჰყოს დაახლოებით ნახევარი მილიონი მანეთი, აშენოს კიდევ ერთი საბავშვო ბაღი. (საქინფორმი).

24 სექტემბერი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქდესი იუწყება

გამოხმაურება

მაგალითი მსოფლიო გაერთიანებისათვის

პრესა, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი, საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები განსაკუთრებული ინტერესით გამოეხმაურნენ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიმართვას ფინელი ტელემაყურებლებისადმი. აქვეყნებენ რა მიმართვის ტექსტს მთლიანად ან მის შინაარსს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ კომენტარებში განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლობით, მათ მიერ შექმნილი მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფასდაუდებელი კაპიტალით გამოიხატება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის უპირატესობანი.

კ. უ. ჩერნენკომ, აღნიშნავს ფინეთის დეპეშათა ბიურო, ხაზი გაუსვა, რომ მეგობრობა, ურთიერთნდობა, ნაყოფიერი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის არსი გახდა. „მსოფლიო გაერთიანებისათვის მაგალითი უწოდა საბჭოთა ხელმძღვანელმა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობისა და ხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობას", აღნიშნავს **ფინეთის ტელევიზია.**

„დამაჯერებელი დადასტურება იმისა, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად ისწრაფვის თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებდეს ფინეთთან კეთილმეზობლობის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა უანდერძა" — ასე დაასახელა მიმართვა ფინეთის გაზეთ „რაკენტაიას" მთავარმა რედაქტორმა **მარკუ ხალომამ.**

კ. უ. ჩერნენკოს მიმართვას, განაცხადა მან, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარებისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. მეგობრობაზე, ურთიერთნდობასა და ნაყოფიერ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობას კარგი პერსპექტივები აქვს. ეს საიმედოდ არის გარანტირებული როგორც ორივე ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელთა პოლიტიკური ურთიერთგაგებით, ისე ფართო მხარდაჭერით, რომელსაც საბჭოთა და ფინელი ხალხები უწევენ 1944 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მიერ არჩეულ მეგობრობის, მშვიდობისა და კეთილმეზობლობის კურსს.

„ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების გენერალურმა მდივანმა **ერკი კივიმიაკიმ** ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ კ. უ. ჩერნენკომ მაღალი შეფასება მისცა ამ საზოგადოების საქმიანობას, ისე როგორც „სსრ კავშირ-ფინეთის" საზოგადოების მუშაობასაც, რომლებიც გვეხმარებიან ვწყვეტდეთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას: ომის შემდეგ დაბადებული ახალი თაობები შეგნებულად, აქტიურად განაგრძობდნენ იმათ საქმეს, ვინც საფუძველს უყრიდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლობას.

გაავრცელა რა მიმართვის დაწვრილებითი შინაარსი, ავსტრიის **პრესის სააგენტო** აღნიშნავს, რომ კ. უ. ჩერნენკომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობას, რომელსაც მეგობრული ხასიათი აქვს, და გამოთქვა რწმენა, რომ ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით განვითარდება.

„კეთილმეზობლობის პოლიტიკა" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიმართვა სახალხო ბულგარეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა. მეგობრობაზე, ურთიერთობაზე, ნაყოფიერ თანამშრომლობაზე — ამ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის არსზე, — წერს **„რაბოტნიჩესკო დელო"**, ვერ ახდენდა და ვერ მოახდენს გავლენას მსოფლიოში პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობა.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიური **„პრავდა"**, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის **„ბერლინერ ცაიტუნგი"** აღნიშნავს, რომ მრავალი წლის მუშაობის, პატიოსანი და თანაბარუფლებიანი დიალოგის დროს სსრ კავშირმა და ფინეთმა შეიძინეს მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ფასდაუდებელი კაპიტალი, და დასძენს, მსოფლიო გაერთიანება ბევრს მოიგებდა, ყველა სახელმწიფოს ურთიერთობა ასეთივე სულისკვეთებას რომ ემყარებოდეს.

საბჭოთა ხელმძღვანელის მიმართვა, ხაზს უსვამს მონღოლური **„უნენი"**, კვლავ მკაფიოდ ადასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის ცხოველმყოფელობას, რომელსაც სსრ კავშირი თანამიმდევრულად ახორციელებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ფინური კულტურის დღეები სსრ კავშირში

ჰელსინკი. ფინეთში დამთავრდა მზადება საბჭოთა კავშირში ფინური კულტურის დღეების მოწყობისათვის, რომელიც ამჯერად საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიმართება 29 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.

ჰელსინკში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებამ მოაწყო, გამოაცხადეს, რომ 60-ზე მეტი კაცისაგან შემდგარ ფინეთის დელეგაციას სათავეში ჩაუდგება მეცნიერებისა და კულტურის მინისტრი გუსტავ ბიერკსტრანდი. დელეგაციაში შედიან აგრეთვე „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარე მარტი მიეტუნენი, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ინკერი აიროლა.

საქართველოს ქალაქებში გამოვლენ ფინეთის შემოქმედებითი კოლექტივები, მომღერლები, მუსიკოსები. ფინეთის წარმოგზავნილთა შორისაა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საესტრადო მომღერალი ანელი საარისტო. ეჭვი არ არის, რომ კონცერტების მსმენელთა დიდ ინტერესს გამოიწვევს ხალხური მელოდიების შესრულება ძველებურ მუსიკალურ საკრავზე კანტელეზე, რომელიც, თქმულების თანახმად, გამოუკეთებია კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსის „კალევალას" გმირს. დღეების დროს გაიმართება ფინური გრაფიკის, აკვარელის, მხატვრული მინის, ბავშვთა ნახატების გამოფენები.

ფოტოინფორმაცია

● გფრ ფაშიზმის აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული საზოგადოებრიობის დიდ გულისწყრომას იწვევს ნეონაცისტების გააქტიურება, რაც ოფიციალურ ხელისუფალთა წაყრუებით ხდება.

ახალ „მიზაკასუფრთა" მორიგი თავხედური გამოხდომა მოხდა ამას წინათ ჰანოვერში — ქვემო საქსონიის მხარის მთავარ ქალაქში, სადაც თავი მოიყარეს ულტრამემარჯვენე მოიერიშეთა ბანდებმა. ჰანოვერში ნეონაცისტური პროვოკაციის პასუხად მასობრივი მანიფესტაცია გამართეს ანტიფაშისტებმა, რომლებმაც მოითხოვეს ბოლო მოუღონ ჰიტლერელი ნაბოლარების პარპაშს.

Stoppt die Neo-Nazis

სურათზე: ქალაქში გაკრულია ანტიფაშისტური პლაკატები — „შეაჩერეთ ანტიფაშისტები".

ბ. კულბიცკის ფოტო (საკდეხი).

ინტერვიუ

მეგობრობის მისიით

გრინემ-კომონი: 10 მილიონი „არა" ამერიკულ რაკეტებს

გრინემ-კომონში დავრჩებით მანამ, სანამ ამერიკელები არ გაიტანენ იქიდან თავიანთ მომაკვდინებელ იარაღს. დაპატიმრებით ვერ დაგვაშინებენ. ბევრნი ვართ — ყველას ვერ ჩასვამენ საპყრობილეში, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს ინგლისელმა ნელი ტრეველიანმა. თანამოაზრეთა — „დასავლეთ-აღმოსავლეთი ერთმანეთის ხელებიან"-ორგანიზაციის წევრთა დიდ ჯგუფთან ერთად იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ორი ქვეყნის მცხოვრებთა შორის „ხიდების გასადებად". საქართველოში სტუმრები შეხვდნენ რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აქტივისტებს.

— ახლა, როცა ჩვენ აქ ვართ, ჩვენმა მეგობრებმა გრინემ-კომონში დაიწყეს არნახული მასშტაბის საპროტესტო აქცია, — თქვა შემდეგ ნ. ტრეველიანმა, — 20-დან 30 სექტემბრამდე მშვიდობის ბანაკში თავს მოიყრის ყველა რასის, ეროვნების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის 10 მილიონი ქალი. ომის მოტრფიალე პოლიტიკოსებს ვუჩვენებთ, რომ ჩვენი კოლექტიური ძალა უსაზღვროა. რატომ ათი დღე? ამ დღეებში გაიმართება ნატოს ყველაზე დიდი მანევრები ევროპაში „ოტმ ფორჯ-84" სახელწოდებით. ეს მარტოოდენ მანევრები კი არა, ახალი ომისათვის მზადებაა. უბედურება რომ ავიცილოთ თავიდან, ათი მილიონი დედა დაგმობს მას გრინემ-კომონში.

მოხარული ვართ, რომ თქვენს ქვეყანაში მხარს უჭერენ და აღტაცებული არიან მშვიდობისათვის ინგლისელი ქალების ბრძოლით. შინ რომ დავბრუნდებით, ჩვენიანებს ვუამბობ საბჭოთა ადამიანებზე, რომლებსაც სძულთ ომი, თქვენი ხალხის გულთბილობაზე და სტუმართმოყვარეობაზე. სსრ კავშირში სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი რწმენა, რომ პლანეტის ადამიანები ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან და ოცნებობენ უიარაღო, უომო მსოფლიოზე.

საერთაშორისო მიმოხილვა

● სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა ● ხალხების პასუხსაგები ფორუმი ● იაპონია: მხარს უსწორებენ პენტაგონს

ინგლისის გაზეთმა „სანდი ტაიმსმა" გამოაცხადა, რომ ტეტჩერის კონსერვატიული მთავრობა შეუდგა საკუთარი „სწრაფი რეაგირების ძალების" პრაქტიკულ შექმნას. ამავე დროს საფრანგეთში გასულ კვირას უკვე მოეწყო მეოთხე აერომობილური დივიზიის ქვეგანაყოფების წვრთნა. მას საფრანგეთის ეგრეთ წოდებული „სწრაფი მოქმედების ძალების" ბირთვის როლი აკისრია. ამით ინგლისმა და საფრანგეთმა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს, რომ აქტიურად უჭერენ მხარს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს. მან უკვე კარგა ხანია შექმნა ავაზაკური „სწრაფი რეაგირების ძალები" 200000 კაცის რაოდენობით.

ეს აშკარად ინტერვენციონისტული კონტინგენტები შექმნილია და იქმნება, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ განახორციელონ დამსჯელი ოპერაციები, შეიჭრნენ სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში, როცა ისინი ცვლიან პოლიტიკურ ან სხვა პოზიციებს იმპერიალიზმისათვის არასასურველი მიმართულებით. მეორე მხრივ კი, იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ რეაქციულ რეჟიმებს, როცა მათ დამხობის საფრთხე ემუქრებათ. ამერიკული „სწრაფი რეაგირების ძალების" გამოყენების მკაფიო ილუსტრაციაა ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა აგრესია გრენადის, კარიბის ზღვის ამ პატარა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თავის მხრივ, ინგლისის მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც რამდენიმე წელია ამზადებდნენ ევროპის ფარგლებს გარეთ ოპერაციების განხორციელებისათვის და რომელიც, არსებითად, „სწრაფი რეაგირების ძალების" პირველსახეა, ჯერ კიდევ 1982 წელს ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო ინგლის-არგენტინის სამხედრო კონფლიქტში.

საფრანგეთში ანალოგიური ძალების შექმნის გეგმა მიიღეს ამავე 1982 წელს. მათს შემადგენლობაში შევა ხუთი დივიზია, რომლებიც დაახლოებით 47000 კაცს აერთიანებს. ეს ძალები უშუალოდ დაემორჩილებიან ქვეყნის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს და თუმცა მათ „სწრაფი რეაგირების ძალები" კი არა, „სწრაფი მოქმედების ძალები" ეწოდებათ, ამით მათი არსი და დანიშნულება არ იცვლება. ამას, კერძოდ, მოწმობს საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა ჩადსა და ლიბანში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინგლისის „სწრაფი რეაგირების ძალები", საფრანგეთის „სწრაფი მოქმედების ძალები", ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი ძალები, გათვალისწინებულია ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ეგრეთ წოდებული „პასუხისმგებლობის ზონის" ფარგლებს გარეთ აგრესიული მოქმედებების განხორციელებისათვის და არის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ინტერვენციის დამკვრელი რაზმი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ „სწრაფი რეაგირების ძალები", რა ფორმაც უნდა მიეცეთ მათ, იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის, მათი საერთაშორისო ტერორიზმისა და ყაჩაღობის იარაღია. ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება ხალხთა ინტერესებს, არღვევს მათს უპირველეს უფლებას — სიცოცხლის, დამოუკიდებელი განვითარების უფლებას. სავსებით კანონზომიერია, რომ მას გულისწყრომით გმობენ ხალხის უფართოესი მასები.

• • •

ნიუ-იორკში მუშაობას შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესია. ახლანდელი უკიდურესად დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში მის წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა — რეალური, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ბირთვული ომის თავიდან აცილებაში, რაზეც დამოკიდებულია კაცობრიობისათვის საჭირბოროტო სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტაც.

რეალიზმის, საღი აზრისა და საქმიანი ურთიერთმოქმედების პოლიტიკაზე გადასვლა მწვავე აუცილებლობაა: ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებულმა საშიშმა, გამალებულმა შეიარაღებამ ხომ მოიცვა ყველა სახეობის იარაღი, როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი, მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა რაიონი, ახლა კი კოსმოსურ სივრცეში გავრცელების საშიშროებასაც ქმნის. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ახორციელებს პოლიტიკას ძალის პოზიციიდან, თავისთვის დასაშვებად და მორალურადაც კი მიაჩნია ყოველგვარი მოქმედება, მათ შორის კანონიერ მთავრობათა დამხობა, სახელმწიფო პოლიტიკაში ტერორიზმის ხერხებისა და მეთოდების გამოყენება.

ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის არა მარტო ჩვენს ქვეყანას, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული მილიტარისტული სტრატეგიის მახვილი, არა მარტო სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, არამედ ყველა ხალხსა და ქვეყანას, ხოლო საბოლოო ანგარიშით — თვით ცივილიზაციის არსებობას. ეს რომ არ დავუშვათ, უნდა დავრაზმოთ მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი ძალები, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოტენციალიც. მას წინათ არაერთხელ აუმაღლებია ავტორიტეტული ხმა ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის გამიზნული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების სასარგებლოდ. გენერალურმა ასამბლეამ თავის დროზე მიიღო დეკლარაცია, რომელშიც კაცობრიობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულად არის გამოცხადებული ის, რომ პირველებმა იხმარონ ბირთვული იარაღი.

ამავე დროს აშკარაა ისიც, რომ მთლიანად როდი გამოიყენება საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოტენციალი, რომელსაც მისი წესდება შეიცავს. მნიშვნელოვანწილად ეს აიხსნება იმით, რომ შეერთებული შტატები და მისი ზოგიერთი მოკავშირე ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უპირისპირდებიან მისი წევრების დიდ უმრავლესობას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გენერალური ასამბლეის წინა სესიაზე რეზოლუციას, რომელმაც დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მიზანი — გამოიყენონ კოსმოსური სივრცე მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით და დასახა მისი მიღწევის გზები, ხმა მისცა 147-მა სახელმწიფომ. წინააღმდეგ მისცა ხმა მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა.

საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად საკადრის პასუხს სცემს ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს დააკნინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზეც ჩვენი ქვეყანა მოვიდა იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს კონფრონტაციიდან დაძაბულობისა და ურთიერთგაგების დაბრუნების გზების ერთობლივი ძიებისაკენ შემობრუნება. ეს არის აგრეთვე ცალმხრივი წესით ნაკისრი ვალდებულება — პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი. ეს არის წინადადება ბირთვული არსენალების გაყინვის შესახებ, იმ ნორმების კოდექსი, რომლებსაც უნდა დაექვემდებაროს ბირთვულ სახელმწიფოთა ურთიერთობა, ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ აიკრძალოს კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დედამიწის მიმართ ძალის გამოყენება, წინადადება, რომ არც ერთმა მხარემ არ გაზარდოს სამხედრო ხარჯები და შემდგომში შეამციროს იგი პროცენტული ან აბსოლუტური გამოხატულებით.

მსოფლიოს ხალხები ელიან, რომ ყველა ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა იტყვის თავის მნიშვნელოვან ავტორიტეტულ სიტყვას.

• • •

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამ კვირას მომხდარმა ორმა ამბავმა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო აქ მზარდ ომის საფრთხეს. ტოკიოში იაპონიის სამხედრო უწყებამ გამოაქვეყნა მორიგი „თეთრი წიგნი თავდაცვის საკითხებზე", რომელიც ფაქტობრივად ქვეყანას უმკვიდრებს ამერიკის „ჩაუძირავი ავიამზიდის" როლს. პარალელურად იაპონიის არქიპელაგის მიმდებარე წყლებში დაიწყო ამერიკა-იაპონიის უდიდესი მანევრები, რაც ცხადყოფს, რომ იაპონიას სწორედ ეს როლი აკისრია ამერიკის იმპერიალიზმის გეგმებში.

ამერიკის შეერთებული შტატები არ მალავს, რომ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ თანამეგობრობასთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევისათვის გამიზნული თავისი სტრატეგიის რეალიზაციაში მზარდ როლს აკისრებს იაპონელ მილიტარისტებს. იაპონია კარგა ხანია გადაიქცა აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მოწინავე ბაზად. მის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 120 სამხედრო ობიექტი და 48 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ვაშინგტონი, რომელიც თავის აგრესიულ სტრატეგიაში კიდევ უფრო აქტიურად აბამს ტოკიოს, ამით აფართოებს იაპონიის სამხედრო ვალდებულებებს წყნარი ოკეანის ზონაში. საქმე ეხება იმას, რომ მას გადააკისრონ ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის ფუნქციები — პატრულობა გაუწიოს წყნარი ოკეანის ვრცელ აკვატორიას, კონტროლი დაუწესოს უმნიშვნელოვანეს საზღვაო გზებსა და სრუტეებს. გათვალისწინებულია აგრეთვე გაზარდონ ტოკიოს ფინანსური წვლილი იაპონიის კუნძულებზე ამერიკის ჯარების შენახვაში.

თავის მხრივ იაპონიის მმართველი წრეები ცდილობენ განახორციელონ საკუთარი გეგმები — გადააქციონ ქვეყანა მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ და მიაღწიონ ჰეგემონიას აზიაში. მათ მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონთან სამხედრო თანამშრომლობა შეესაბამება ამ შორს გამიზნულ გეგმებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის არის მწვავე სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობანი, იზრდება დეფიციტი იაპონიასთან ამერიკის ვაჭრობაში, რომელმაც 1983 წელს 21,7 მილიარდი დოლარი შეადგინა და მწვავდება კონკურენცია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კურსი ახლანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ერთმანეთს.

იაპონიას უკვე დღეს ჰყავს შეიარაღებული ძალები, რომელთა შემადგენლობაში ოთხ მილიონზე მეტი კაცია. ამასთან მათი მეთაურთა შემადგენლობა რიგითებზე მრავალრიცხოვანია, რაც შესაძლებლობას იძლევა სწრაფად გაშალონ დიდი არმია აგრესიული მოქმედებებისათვის.

ბუნებრივია, რომ ვაშინგტონის აგრესიულ სტრატეგიაში იაპონიის ჩაბმა მზარდ უკმაყოფილებას იწვევს აზიის ქვეყნებში, რომელთა ხალხებს ტოკიოს მილიტარისტული მზადების გაძლიერება მიაჩნიათ რეგიონის მშვიდობისა და უშიშროებისადმი პირდაპირ საფრთხედ.

სოციალიზმის ქვეყნებში

რეკლამა არ სჭირდება

ბუდაპეშტი. საბჭოთა საწარმოების მარკიან რადიოსაქონელს რეკლამა არ სჭირდება უნგრეთში. რადიომიმღებები „ოკეანი", „ვეგა", „სოკოლ", „კვარცი", რომელთა მორიგი პარტია მიიღეს ამ დღეებში ქვეყნის სავაჭრო ქსელში, არასოდეს დიდხანს არ ჩერდება უნგრეთის რადიომაღაზიების დახლებზე. წელს, საბჭოთა წარმოების რადიოაპარატურის ტრადიციულ სახეობებთან ერთად, უნგრელი მყიდველები შესაძლებლობას მიიღებენ შეიძინონ სიახლე — უმაღლესი კლასის რადიომიმღები „სალუტ-001". უახლოეს თვეებში მაღაზიებს გაეგზავნებათ დაახლოებით 3 ათასი „სალუტი". უნგრეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა საწარმოო გაერთიანება „რადიოტექნიკის" პროდუქცია. წლის დამლევამდე უნგრელი შემკვეთები მიიღებენ ამ საწარმოს მარკიან 15 ათას ტრანზისტორულ მიმღებს „სპიდოლა-242".

პირველი აგროსამრეწველო გაერთიანება

ხოშიმინი. ქვეყნის ცენტრალურ პლატოზე დარლაკის პროვინციაში შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამში პირველი ყავის საწარმოო სახელმწიფო აგროსამრეწველო გაერთიანება. გაერთიანება შეიცავს შვიდ სახელმწიფო მეურნეობას, სადაც შრომობს დაახლოებით 6 ათასი კაცი, ხოლო პლანტაციების საერთო ფართობი 4.700 ჰექტარს შეადგენს. ქვეყნის დაბლობი რაიონების ყამირელებთან ერთად სახელმწიფო მეურნეობებში მუდმივ სამუშაოს იღებს ედესა და მნონგის ეროვნების ახალგაზრდობა, რომლებიც მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებიდან თანდათან გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე.

ყავის მეურნეობის გამოყოფა ცალკე დარგად ნაკარნახევია ამ საექსპორტო კულტურის პლანტაციების სწრაფი ზრდით, აგრეთვე იმით, რომ საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მასზე.

მებაღეობის პროდუქტთა დათვალიერება

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოებით 400 ათასი მცხოვრები და უცხოელი სტუმარი ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მებაღეობის მიღწევათა ერფურტის ტრადიციულ გამოფენას „იგა-84". მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის ექსპოზიციებმა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საუკეთესო მებაღეობის მეურნეობებსა და კოოპერატივებს გადაეცათ ჯილდოები. საპატიო პრიზებით აღინიშნა აგრეთვე სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ექსპოზიციები.

ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ

ულან-ბატორი. „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ" — ეს დევიზი განსაზღვრავს დღეს მონღოლეთის სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის საწარმოთა მთელ საქმიანობას. მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში დარგის მუშაკებს ეხმარება საბჭოთა კოლეგების მოწინავე გამოცდილება, რომელიც გახდა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი.

ამჟამად დარგში დასაქმებულთა თითქმის 20 პროცენტი მუშაობს ბრიგადული იჯარის საბჭოთა მეთოდით. ბელორუსი ენერგეტიკოსების მაგალითისამებრ ულან-ბატორის ენერგოქსელის მუშებმა დაიწყეს შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის გადიდების მართვის სისტემის ფართო გამოყენება.

დიდი შეფასება

ბეირუთი. სირიის ინფორმაციის მინისტრმა ა. რაჯუბმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობას. ამ ურთიერთობას, თქვა მან ლიბანის ყოველკვირეულის „მანდი მორნინგისათვის" მიცემულ ინტერვიუში, ხანგრძლივი ხასიათი აქვს, ხოლო სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის დიდი ხნის მეგობრობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ამ ურთიერთობის განვითარებაზე. ა. რაჯუბმა თქვა, რომ ორმხრივი კავშირურთიერთობის განმტკიცებას ხელს უწყობს აგრეთვე უანგარო მხარდაჭერა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს სირიას მისთვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებში. საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობა, თქვა მან, ემყარება ურთიერთპატივისცემასა და საერთო პოზიციებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებში.

როცა ლიბანში შექმნილ ვითარებას შეეხო, მინისტრმა აღნიშნა, რომ სირიის არაბთა რესპუბლიკა მხარს უჭერს ნებისმიერ მეცადინეობას, რომლის მიზანია აღადგინოს ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, გაათავისუფლოს იგი ისრაელის ოკუპაციისაგან, განამტკიცოს მისი ერთიანობა და დამოუკიდებლობა.



„ჯვაროსნული ომი"... მსოფლიოს წინააღმდეგ.

ვ. ლომიძის ნახატი.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი რას წერდა გაზეთი „კომუნისტი" 40 წლის წინათ

1944 წლის 19-25 სექტემბერი

● **საკოლმეურნეო** სოფელი უმაგალითო საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის. მამაცი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებები, კოლმეურნეებს აღაფრთოვანებენ ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ფართოდ ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება სოფლად. მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს უფრო მეტი ხორცი, ერბო-კარაქი, რძე და მეცხოველეობის სხვა პროდუქცია.

● **ბალტიისპირეთის** მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და 19 სექტემბერს დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის კვანძი ვალგა — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ესტონეთის სამხრეთ ნაწილში.

● **ბალტიისპირეთის** 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ქალაქ რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-მდე კილომეტრით და გარღვევა გააფართოვეს 120 კილომეტრამდე ფრონტით. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები — ბაუსკა, იეცავა, ვეცმუიჟა და მდინარე დასავლეთ დვინაზე — იუნელგავა და ტიკავა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს მრავალი დასახლებული პუნქტი.

● **ლენინგრადის** ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ ტარტუს ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, შეტევითი ბრძოლების ოთხი დღის განმავლობაში წინ წაიწიეს 70-მდე კილომეტრით, გარღვევა გააფართოვეს 120-მდე კილომეტრი ფრონტით.

● **გმირი** წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ. საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვის, არმიის გენერალ ბაგრამიანისა და არმიის გენერალ მასლენიკოვის ჯარები გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ათავისუფლებენ ბალტიისპირეთის მიწა-წყალს. დიდება მშობლიურ წითელ არმიას! სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

● **მიმდინარე** სასწავლო წელს საქართველოს დაწყებითი სკოლის მოსწავლეები ახალი სახელმძღვანელოებით ისწავლიან დედა ენას — შექმნილია გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული დედა ენის სრულყოფილი სახელმძღვანელოები.

● **წითელი** არმიის ნაწილების დარტყმებით უკან დახევისას გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა ბევრი ნაღმი დატოვეს საკოლმეურნეო მინდვრებში. როსტოვის ოლქის მთელ რიგ რაიონებში მუშაობენ ნაღმების ამომღები და გამაუვნებელი კოლმეურნეთა ბრიგადები. ნეკლინოვის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" 57 წლის კოლმეურნე შკურკომ საკოლმეურნეო მინდვრებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში 4600 ნაღმი გააუვნებლა.

● **ლენინგრადის** ფრონტის ჯარებმა სწრაფი შეტევის შედეგად 22 სექტემბერს ბრძოლით დაიკავეს ესტონეთის სსრ დედაქალაქი ტალინი (რეველი) — დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და დიდი ნავსადგური ბალტიის ზღვაზე.

● **საქართველოს** სსრ ჭიათურის რაიონი, გაზეთ „კომუნისტური სიტყვის" რედაქტორს ჯულიეტა თოდრიას. გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ჭიათურის რაიონის პრესის მუშაკებს, კორესპონდენტებსა და მკითხველებს, რომლებმაც 90.539 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის" ასაგებად. ი. სტალინი.

● **ლენინგრადის** ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, 23 სექტემბერს დაიკავეს ქალაქი პიარნუ (პერნოვი) — დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური რიგის ყურეში.

სადა ხართ, თანაპოლკელებო!

რედაქციაში გვესტუმრა სამამულო ომის ვეტერანი, მოსკოველი სიმონ მათეს ძე ლევოვიჩი, რომელმაც თავის არქივში დაცული ომისდროინდელი ფოტოსურათები გადმოგვცა — იქნებ გამოაქვეყნოთ და ყოფილი ფრონტელი მეგობარი ქალები მაპოვნინოთო.

— ეს სამახსოვრო ფოტოსურათები, — გვიამბო სტუმარმა — 1942 წლის შემოდგომაზეა გადაღებული თბილისში, როდესაც ჩვენი 1563-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი ჩამოყალიბდა.

მაშინ სიმონი ცხრამეტი წლისა ყოფილა, ისეთივე ახალგაზრდა, როგორიც ფოტოსურათზე აღბეჭდილი კომკავშირული სიგზნებით გაწვეული ქართველი ქალიშვილები.

— მახსოვს, როგორ მხიარულობდნენ ქალიშვილები, პირველად რომ ჩაიცვეს სამხედრო ფორმა — იგონებს სიმონი, — მოდიოდნენ მათი მშობლები, გვთხოვდნენ დაგვერთო ნება, რამდენიმე საათით სახლში გაგვეშვა ისინი.

პირველი საბრძოლო ნათლობა როსტოვში მივიღეთ.

როსტოვის ბრძოლების შემდეგ 1563-ე საზენიტო ნაწილს დავშორდი და სტალინგრადის მიმართულებით განვაგრძე ბრძოლა. მაინტერესებს თანამებრძოლი ქალიშვილების ბედი, რომელი მათგანი გადაურჩა ომის ქარცეცხლს და როგორ წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება.

ლიპეცკიდან გამოგზავნილი წერილის ავტორი, სამამულო ომის ვეტერანი ნიკოლოზ კასოიჩევი გვთხოვს დავეხმაროთ მისი ყოფილი თანაპოლკელის ივანე ლომიძის მოძებნაში.

— 1944 წლის გაზაფხულზე უკრაინის მეორე ფრონტის ჯარებმა პირველებმა გადალახეს საბჭოთა კავშირის საზღვრები, გაწყვიტა იგი — ასე დაიწყო გერმანელი ფაშისტებისაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლება. ჩვენმა 38-ე დნესტრის წითელდროშოვანმა დივიზიამ რუმინეთში, კერძოდ კარპატებში განაგრძო ბრძოლები. მალე ახალი შევსება მივიღეთ. მაშინ გავიცანი ივანე ლომიძე, რომელმაც პირველ დღეებშივე გამოიჩინა საზრიანობა და გამბედაობა. მოგეხსენებათ, მთიან რაიონში გვიჭირდა მოძრაობა. მტერი უკან დახევისას მისთვის ხელსაყრელ მაღლობებს იკავებდა და წინ წაწევის საშუალებას არ გვაძლევდა.

აი, აქ გამოიჩინა თქვენმა თანამემამულემ გამჭრიახობა და სწრაფადაც განსაზღვრა რა მიმართულებით შეგვეძლო ნაკლები მსხვერპლის ფასად, შეტევის გაგრძელება. სწორედ მისი მეთაურობით შევძელით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის, — ერთი დიდი დასახლების დაკავება. ფაშისტები ვერა და ვერ შეურიგდნენ ასეთ დანაკარგს და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. გაიმართა მძიმე ბრძოლა. ჩვენმა მეავტომატეებმა შეძლეს (დამხმარე ძალების მოსვლამდე) მტრის შეჩერება, ამ ბრძოლაში ივანე მძიმედ დაიჭრა და სანიტარიულ ნაწილში გაიგზავნეს.

მას შემდეგ 40 წელი გავიდა. მაინტერესებს, როგორ წარიმართა ჩემი მამაცი თანაპოლკელის ი. ლომიძის ცხოვრება. იქნებ გამოეხმაუროს.

...ასეთი ხასიათის წერილებს რედაქცია უამრავს იღებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. ფრონტელი მეგობრები არ ივიწყებენ ერთმანეთს და კვლავ ერთმანეთის ამბავის გაგება სწადიათ.

ივანოვის ოლქის ქალაქ ზავოლჟსკიდან გამოგზავნილ წერილში გადამდგარი მაიორი ვასილ ნეკრასოვი გვთხოვს, დავეხმაროთ და თანაპოლკელი, გადამდგარი კაპიტანი ივანე უჩამურიძე ვაპოვნინოთ. ისინი, თურმე ერთად იბრძოდნენ ბელორუსიის მეორე ფრონტზე 905-ე მსროლელ დივიზიაში.

დიდი დრო აღარ დარჩა გერმანელ ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმამდე, — გვწერს **უჟგოროდელი** ივანე პანინი. გთხოვთ დამეხმაროთ და მაპოვნინოთ ჩემი ფრონტელი მეგობარი. 257-ე მსროლელი დივიზიის ლეიტენანტი ლევან ქათამაძე ვისთანაც ერთადაც გავიარე ომის მძიმე გზები.

სამამულო ომის ვეტერანს, კიეველ ექიმს სიმონ ნიმკოვსკის სურს დაუკავშირდეს თავის თანაპოლკელ მოლვა ალექსანდრეს ძე სურამელაშვილს, რომელთანაც ერთად 334-ე სამთო მსროლელთა პოლკში უბრძოლია.

დონეცკელი სამამულო ომის ვეტერანი, 46-ე არმიის ვეტერანთა შტაბის წევრი თედორე ხომენკო გვთხოვს დავაკავშიროთ თანაპოლკელებს — 428-ე ცალკეულ მეკავშირეთა ბატალიონის მებრძოლებს — პანტურიას, გრიგორ გეორგაძეს, ოსიძეს, ნეფარიძეს, ნიკოლეიშვილს და სხვა თანაპოლკელებს (სტილი დაცულია).

წერილის ავტორი იხსენებს მთელი რიგი ქალაქების, მათ შორის ბუდაპეშტისა და ვენის განთავისუფლებისათვის გადახდენილ ბრძოლებს: „ბევრი ჩვენი თანაპოლკელი დაიღუპა ამ ბრძოლებში. მათი ხსოვნა ჩვენს გულებში არასოდეს წაიშლება. გთხოვთ, ძვირფასო მეგობრებო, გამოგვეხმაურეთ, გამოგვიგზავნეთ თქვენი მისამართები და ღირსეულად აღვნიშნოთ გამარჯვების 40 წლისთავი!.."

კვლავ და კვლავ მრავალ წერილს იღებს რედაქცია ომის ვეტერანებისაგან. იმედია, მეგობართა თხოვნას გამოეხმაურებიან ჩვენი თანამემამულენი და მათი საბრძოლო ეპიზოდების გახსენებით, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლების ამსახველი ფაქტების გამომზეურებით ახალი ფურცლით შეივსება დიდი სამამულო ომის ისტორია.

ლ. ხუბულური.

● ●

სურათზე: ს. ლევოვიჩი თანაპოლკელ ქალიშვილებს შორის.

ქართველი მეცნიერის ღვაწლი

მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესმა" რუსულ ენაზე გამოსცა გამოჩენილი გერმანელი ესთეტიკოსის, ენათმეცნიერის, ფილოსოფოსის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის, ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ვილჰემ ფონ ჰუმბოლდტის „რჩეული შრომები ენათმეცნიერებაში". წიგნი გამოვიდა რუბრიკით „მსოფლიოს ენათმეცნიერები". ჩვენთვის, ქართველებისათვის, სასიამოა ის ფაქტი, რომ ამ სახელგანთქმული ლინგვისტის შრომებს რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, პროფესორმა გ. რამიშვილმა.

პროფესორი გ. რამიშვილი მსოფლიოში ცნობილი ჰუმბოლდტოლოგია. იგი არჩეულია ევროპის ლინგვისტთა საერთაშორისო საზოგადოების წევრად. არის ჟურნალ „ფონეტიკის, კომუნიკაციის კვლევისა და ენათმეცნიერების" სარედაქციო კოლეგიის წევრი, აგრეთვე საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის საბჭოს წევრი. მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში თემაზე „ენის შინაფორმის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში". იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამსახურებისათვის დააჯილდოვეს ფრ. შილერის სახელობის საპატიო მედლით. სპეციალისტების საერთო აზრით, პროფესორ გ. რამიშვილის ნაშრომი აყენებს მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემას ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების სფეროში; მან განავითარა ენათა შედარების სრულიად ახალი კონცეფცია, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, შეძლო შეემუშავებინა ენათა სემანტიკური შეპირისპირების ახლებური მეთოდი. ამ ახალი მეთოდის დაფუძნება ჩაითვლება ავტორის ბრწყინვალე მონაპოვრად, — წერდნენ გერმანელი კოლეგები.

გ. რამიშვილმა საკანდიდატო დისერტაციაც ვ. ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფიას მიუძღვნა („ჰუმბოლდტის ენის თეორიის ზოგიერთი საკითხი"). ერთი სიტყვით, ჰუმბოლდტის ლინგვისტური ნააზრევის შესწავლა-ათვისება — კვლევას პროფესორმა გ. რამიშვილმა დიდი დრო და ენერგია შეალია. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ გამოჩენილი გერმანელი მკვლევარის ენათმეცნიერული შრომების რუსული თარგმნის რედაქტორი და კომენტატორი ქართველი ჰუმბოლდტოლოგი, — პროფესორი გ. რამიშვილი გახდა.

სარეცენზიო წიგნი გამოცემულია უზადოდ როგორც შინაარსობრივად, ისე პოლიგრაფიის თვალსაზრისითაც. „რჩეულ შრომებს ენათმეცნიერებაში" წინ უძღვის გ. რამიშვილის წინასიტყვაობა — „ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი — თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებელი", რომელშიც მოკლედ, კონსპექტური სახით გადმოცემულია ის შედეგები, რომლებიც ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიიღო ქართველმა მეცნიერმა. იგი ახასიათებს გერმანელ ლინგვისტს როგორც ჰუმანისტური იდეების მქადაგებელ პიროვნებას, რომლის ძირითადი კრედო იყო პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება. ვ. ჰუმბოლდტი ამ დებულების ერთგული დარჩა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ჰუმბოლდტის პოპულარობა, გ. რამიშვილის სიტყვით, განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, როცა 1903 წელს პრუსიის მეცნიერებათა აკადემიამ ა. ლაიტცმანის რედაქციით გამოსცა დიდი გერმანელი მკვლევარის თხზულებათა ჩვიდმეტტომეული, რომლის ფოტოტიპური გამოცემა განხორციელდა 1968 წელს. პეტერბურგში 1859 წელს რუსულად გამოდის ჰუმბოლდტის ნაშრომი „ადამიანის ენათა აგებულების სხვადასხვაობისა და კაცობრიობის გონის განვითარებაზე მისი გავლენის შესახებ". რ. ჰაიმის ნაშრომი ჰუმბოლდტის შესახებ (1899), ა. პოტებნიას „აზრი და ენა" (1862, 1892), რამაც კიდევ უფრო პოპულარული გახადა ვ. ჰუმბოლდტის სახელი რუსეთში... თანამედროვე ენათმეცნიერებაში წარმოიშვა მიმდინარეობა ნეოჰუმბოლდტიანობა (ლ. ვაისგერბერი, ი. ტრირი, გ. ჰიპერი...).

პროფესორი გ. რამიშვილი ხაზგასმით შენიშნავს, რომ ამ კრებულში შევიდა ვ. ჰუმბოლდტის ისეთი შრომები, რომლებიც წინათ რუსულად არასდროს არ თარგმნილა და ამით შესამჩნევად გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენები მის მეცნიერულ კონცეფციაზე.

„რჩეულ შრომებს ენათმეცნიერებაში" დამატებად ახლავს პროფესორ ა. ვ. გულიგას „ვ. ჰუმბოლდტი და გერმანული ფილოსოფიური კლასიკა", პროფესორი ვ. ა. ზვეგინცევის „ვ. ჰუმბოლდტის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ", პროფესორ გ. რამიშვილის შენიშვნები, ენათმეცნიერების საკითხებზე ვ. ჰუმბოლდტის შრომათა სია, საგნობრივი საძიებელი და ენების სია.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდის გამოკვლევებიდან პროფესორი ვ. ა. ზვეგინცევი განსაკუთრებით გამოყოფს ქართველი მკვლევარის, პროფესორ გ. რამიშვილის შრომათა სერიას გამოჩენილი გერმანელი ლინგვისტის შესახებ და მაღალ შეფასებას აძლევს მათ ვ. ჰუმბოლდტის თეორიული კონცეფციის განვითარების შესწავლაში, ჰუმბოლდტოლოგიის გამდიდრებაში.

გაკეთდა დიდი კულტურული საქმე — რუსულად პირველად გამოიცა გამოჩენილი გერმანელი ლინგვისტის, ენის შესახებ მეცნიერების კლასიკოსის, ზოგადი და თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებლის, „გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანის" (ვ. ტომსენი) ვ. ჰუმბოლდტის რჩეული ენათმეცნიერული შრომები.

რ. შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სახალხო დღესასწაულებზე

გარისობა

თეთრი წყაროს უწინ გარისი რქმევია. აი უკვე რამდენიმე წელიწადია, ყოველ სექტემბერში აქაური მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდები გარისობას ზეიმობენ.

რაიონულ ცენტრთან ახლოს („დათვის ტყეში") წლეულს მშვენიერი თეატრონი გაიხსნა, რომელიც სხვადასხვა ზომის ერთმანეთთან დაკავშირებული სამი სცენისაგან შედგება. მშვენიერი და ტევადია ღია ცის ქვეშ მოწყობილი „მაყურებელთა დარბაზი". ლამაზად არის გაფორმებული „მეგობრობის სახლის" ეზო-ყურეც.

ტრადიციისამებრ ინტერნაციონალური მეგობრობის ნიშნით ჩაიარა წლევანდელმა სახალხო დღესასწაულმაც. ზეიმი დაამშვენა ახალდაქორწინებულმა სამმა წყვილმა.

დღესასწაული საზეიმოდ გახსნა საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ. სიტყვა წარმოთქვეს თეთრი წყაროს მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა, ომის ვეტერანმა ნ. ვასილიადმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, რაიონის საპატიო მოქალაქემ, აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ, სოფელ ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა ა. ჯამბაშვილმა, კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დანელიამ.

ზეიმში მონაწილეობდნენ თეთრი წყაროს რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მარნეულისა და კასპის რაიონების მშრომელები.

თეთრი წყაროს საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი შ. აფციაური, ვეტერანი კომკავშირელი გ. დოხილიანი და ექიმი მ. ლეკუდოვი.

საზეიმო კონცერტში ერთიმეორეს ენაცვლებოდა ქართული და რუსული, სომხური და აზერბაიჯანული, ბერძნული და ოსური სიმღერები და ცეკვები.

მერე გაიმართა სპორტული სანახაობა. მოზეიმეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ჭიდაობამ. 1984 წლის ფალავნის სახელი და პირველი ჯილდო — ვერცხლის ხანჯალი, მოიპოვა ხ. ბაბუტაშვილმა.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

თეატრი ელის ყმაწვილებს

ხვალ, 26 სექტემბერს მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი დავით კლდიაშვილის პიესით „ირინეს ბედნიერებით" ხსნის თავის მორიგ, 57-ე სეზონს. ყმაწვილები ნახავენ მრავალ ახალ სპექტაკლს, რომლებიც აბონემენტით ჯერ არ გვიჩვენებია. ესენია თამაზ ჭილაძის „თავფარავნელის ბალადა" და არკადი გაიდარის „მედოლის ბედი".

მზადდება ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა" (რეჟისორები — შ. გაწერელია და ო. ბაღათურია) და გიორგი პოლინსკის „არავინ დაიჯერებს" (რეჟისორი — ქ. ხარშილაძე). აღსდგება პატარების საყვარელი სპექტაკლი — იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა", რომლის ინსცენირება ეკუთვნის ქ. ჭილაშვილს. განზრახულია განხორციელდეს ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია მოხზა გელოვანის ნაწარმოებების მიხედვით. ეს დადგმა მიეძღვნება სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს. თეატრი თანამშრომლობს ქართველ დრამატურგებთან, კერძოდ, გურამ ბათიაშვილი წერს პიესას დიდი სამამულო ომის თემაზე.

ახალ სეზონში დაიდგმება რაფიელ მამულაშვილის „გამოცდა" და გიორგი ქეპულაძის „სად არ მეცმდიან". ორივე პიესა სასკოლო ცხოვრებას შეეხება.

თეატრმა მოიწვია ნოვოსიბირსკის საბავშვო თეატრის მთავარი რეჟისორი ლევ ბელოვი, რომელიც დადგამს ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილს".

მოზარდები კვლავ იხილავენ ადრე განხორციელებულ დადგმებს — ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს", გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექიას", ე. შვარცის „წითელქუდას", ა. ლინდგრენის „ბიჭუნასა და კარლსონს", ბ. ლავრენიევის „რღვევას", ვ. იაკაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკას".

ჩვენმა მაყურებელმა იცის, რომ უკვე მესამე წელია მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მისამართი შეიცვალა, — იგი დამკვიდრდა პლეხანოვის პროსპექტზე, რკინიგზელის სახლის შენობაში. აქ, საკმაოდ კარგი დარბაზია. მაგრამ თეატრის მისამართის შეცვლამ რატომღაც მოადუნა ჩვენი მაყურებლის ყურადღება, თეატრში ნაკლებად დადიან, ბილეთები მუდამ გაყიდულია, დარბაზი კი სავსე არ არის.

ამაში, ალბათ, პედაგოგებსაც მიუძღვით ბრალი. ისინი ბავშვებს მეტ ინტერესს უნდა უღვივებდნენ თეატრისადმი და უნდა შეამზადონ კიდეც სამისოდ.

თეატრის რეპერტუარი ყოველი ასაკის მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული, მაგრამ სამომავლო სურვილებისა და მიზნების განხორციელებლად თვით მოზარდი მაყურებლის ყურადღება და მხარდაჭერაც გვჭირდება.

მ. ცხომარია,
სალიტერატურო ნაწილის გამგე.

უშინსკის სახელობის პირველი რესპუბლიკური საექსპერიმენტო საშუალო სკოლის პირველი კლასის მოწაფეები კვირაში 5 დღეს მეცადინეობენ. გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია. შუა გაკვეთილზე რამდენიმე წუთს ფიზიკურად ვარჯიშობენ, ბურთს თამაშობენ და სხვ.

ეს ექსპერიმენტი ეწყობა თბილისის ლენინის რაიონის ყველა საშუალო სკოლაში, აგრეთვე თელავის რაიონში. გამოცდილ პედაგოგებს ჩინებულად აქვთ შეხამებული მეცადინეობა და ფიზიკური ვარჯიში. ეს კარგ გავლენას ახდენს ბავშვებზე...

პედაგოგი მზია დიდიშვილი მეცხრე წელია სკოლაში ასწავლის. მას დაწყებითი კლასები ჰყავს.

● ●

სურათებზე: პირველი კლასის მასწავლებელი მზია დიდიშვილი გაკვეთილზე; დაიღალნენ... ახლა რამდენიმე წუთს ბურთის თამაშიც შეიძლება; მოსწავლე ქეთინო ჭანელიძე ყურადღებად არის გადაქცეული.

ა. სააკოვის ფოტო.

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

მეხუთე პარტიაშიც ყაიმი

კარპოვ-კასპაროვის მატჩის მეოთხე პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: კასპაროვი (თეთრები) — მეფg2, ლe3, ეf1, ეf3, კd5, პპ. b3, e4, g3, h2 (9); კარპოვი (შავები) — მეფh8, ლd6, ეa7, ეc8, კg7, პპ. a5, c5, g6, h7 (9).

პარტია ასე დამთავრდა: 41... ლe5 (კარპოვის მიერ ჩაწერილი სვლა) 42. ე:f3 a4 43. ba ე:a4 44. ეf7 ეb4 და კასპაროვის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ მეტოქეებმა მეხუთე პარტია ითამაშეს, რომელიც 23-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ასე რომ, ანგარიში არც ამჯერად შეცვლილა — 1:0. წინ კარპოვია.

ვოლგოგრადი

ანგარიში კვლავ თანაბარია

ლევიტინას თეთრებით კარგად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი აქვს. ეს მას საშუალებას აძლევს დასაწყისშივე ხელსაყრელი პოზიციები მიიღოს, ხშირად კი ხანგრძლივ ინიციატივასაც დაეუფლოს. ბუნებრივია, რომ ლაზიერის წინა პაიკის დასაწყისისათვის, რომელსაც სისტემატურად იყენებს პრეტენდენტი, ჩიბურდანიძემ რამდენიმე სქემა მოამზადა. ორ პარტიას, რომლებშიც მსოფლიო ჩემპიონმა ახალინდურ დაცვას მიმართა მისთვის კარგი შედეგი არ მოუტანია. ამიტომ, მეხუთე პარტიაში მაიამ შავებით სხვა დებიუტი ირჩია. მან ამჯერადაც თავი შეიკავა ძველინდური დაცვისაგან, რომელიც ადრე ჩიბურდანიძის საყვარელ დებიუტად ითვლებოდა და ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშა. შეხვედრა ერთხანს დაემთხვა კაპაბლანკა-ტეიხმანის ცნობილ პარტიას. ჩიბურდანიძე თავშეკავებულად თამაშობდა. იგი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობის გათანაბრებაზე ზრუნავდა. ლევიტინა შეეცადა ინიციატივას დაუფლებოდა მეფის ფრთაზე, ჩემპიონი კი ლაზიერის ფრთაზე პაიკების წინსვლით ცდილობდა კონტრთამაშის დაწყებას ბრძოლის ამ უბანზე. მე-20 სვლაზე ჩიბურდანიძე, ცოტა არ იყოს, შეცდა, პრეტენდენტმა კარგად ისარგებლა ამ გარემოებით და უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ თვითონ ითამაშა უზუსტოდ. ორმხრივ ცაიტნოტში შავებმა მდგომარეობა გამოასწორეს. ჩიბურდანიძემ მეტოქეს ლაზიერის გაცვლა შესთავაზა, რის შემდეგ მან განზრახ დათმო პაიკი. შექმნილ პოზიციაში ამას უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. თამაში სწრაფად გადავიდა სხვადასხვაფერკუთხოვან კუებიან ენდშპილში, სადაც თეთრების მინიმალური მატერიალური უპირატესობის რეალიზაცია შეუძლებელი იყო. ლევიტინამ ჯერ გადადო პარტია, მაგრამ შემდეგ თვითონ თამაშის გაუხსნელად შესთავაზა მეტოქეს ყაიმი, რომელსაც ჩემპიონი დათანხმდა.

ამრიგად, 5 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 2,5:2,5. გუშინ მეტოქეები ისვენებდნენ. მორიგი პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით ჩიბურდანიძე ითამაშებს, დღეს უნდა გაიმართოს.

მეხუთე პარტია

ლევიტინა — ჩიბურდანიძე

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. მf3 d5 3. c4 e6 4. მc3 კe7 5. კg5 მbd7 6. e3 0-0 7. ეc1 b6 8. cd ed 9. კb5 კb7 10. 0-0 c6 11. კa4 ეc8 12. ლe2 მe4 13. კf4 მ:c3 14. ე:c3 c5 15. ეd1 მf6 16. მe5 c4 17. ეcc1 a6 18. კc2 b5 19. კf5 ეa8 20. b3 g6 21. კb1 მh5 22. კh6 მg7 23. bc bc 24. ლf3 ლc8 25. e4 f6 26. მg4 ლe6 27. ed კ:d5 28. ლh3 კb4 29. a3 კa5 30. კ:g7 მფ:g7 31. ლh6+ მფg8 32. მe3 ეa7 33. h4 ეc8 34. კa2 ეac7 35. მ:d5 ლ:d5 36. ლe3 f5 37. ეc2 ლe4 38. ლ:e4 fe 39. ეdc1 მფg7 40. ე:c4 ე:c4 ყაიმი თამაშის გაუხსნელად.

ლიდერი ორია

ბორჯომში, მოჭადრაკე ვაჟთა 52-ე საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირში გაითამაშეს მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურის პარტიები.

მეთერთმეტე ტურში პოდგაეცმა მოუგო გლეკს, ზაიჩიკმა — კაკაგელდიევს, ხოლმოვმა — ვიტოლინშს, კოვალიოვმა — ივანოვს. გურგენიძემ წააგო სალოვთან, ეფიმოვმა — ხალიფმანთან. დაზავდნენ სტერუა-ლოგინოვი, აზევე-იტკისი.

მეთორმეტე ტურში გურგენიძე კვლავ დამარცხდა, ამჯერად შეჯიბრების ერთ-ერთ ლიდერთან ხალიფმანთან. წააგო სტერუამაც, მას მოსკოველმა გლეკმა მოუგო. ეფიმოვმა მოუგო აზევეს. უარეს პოზიციაში გადადო პარტია ზაიჩიკმა. ნაუმკინმა დაამარცხა ლოგინოვი. პოდგაეცი და ვიტოლინში ყაიმზე შეთანხმდნენ.

თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერებს — გლეკს და ხალიფმანს 8,5-8,5 ქულა აქვთ, სალოვს — 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

გუშინწინ გამართული ხუთი მატჩით ხანგრძლივი შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის 47-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. მოსკოვის „ტორპედომ" დაამარცხა ტაშკენტის „ფახთაქორი" — 3:1, როსტოვის არმიელებმა შინ წააგეს კიევის „დინამოსთან"—1:0, ერევნის „არარატმა" მოუგო ხარკოვის „მეტალისტს"—1:0, ბაქოს „ნეფთჩიმ"—დონეცკის „შახტიორს"—3:0, ვილნიუსის „ჟალგირისმა"-ოდესის „ჩერნომორეცს" — 1:0.

გუშინ გაიმართა ოთხი მატჩი. თბილისის „დინამომ" შარშანდელ ჩემპიონს „დნეპრს" უმასპინძლა და გაიმარჯვა ანგარიშით — 1:0. გოლი თამაშის 63-ე წუთზე გაიტანა კაკილაშვილმა. ალმა-ათის „ყაირათმა" შინ დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 2:0. „სპარტაკმა" მოუგო ცსკა-ს — 2:0, მინსკის „დინამომ" და „ზენიტმა" ფრედ ითამაშეს — 1:1.

პირველი ლიგა

გუშინწინ პირველი ლიგის გუნდებმა ქვეყნის ჩემპიონატის 36-ე ტურის მატჩები გამართეს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ამ ტურშიც სტუმრები იყვნენ და სამწუხაროდ, წარუმატებლადაც ითამაშეს — მხოლოდ ლანჩხუთის „გურიამ" შეიმატა ერთი ქულა დუშანბეში „პამირთან" ფრედ — 1:1 — დამთავრებული მატჩით, ქუთაისის „ტორპედო" და ბათუმის „დინამო" კი დამარცხდნენ: ბათუმელები კიშინიოვში „ნისტრუსთან" — 0:1, ქუთაისელები კი სიმფეროპოლში „ტავრიასთან", —0:3. რა თქმა უნდა, „ტორპედოს" ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხება ძალზე მოულოდნელი იყო, მაგრამ მომდევნო ორ ტურში მასპინძლობა (მაშინ, როცა მათ ყველაზე „ჯიუტ მდევარს" კრასნოდარის „კუბანს" სტუმრობა უწევს) კვლავ ხელსაყრელ სიტუაციას უქმნის ჩვენ გუნდს, შემდეგ კი ყველაფერი ისევ მათ ოსტატობასა და გულგაუტეხელობაზეა დამოკიდებული.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ზვეზდა"-„სპარტაკი" — 3:0, ხაბაროვსკის ასკ — „ზარია" — 1:1, „ირტიში"-ასკ „კარპატი" — 2:0, „კუზბასი"-„დაუგავა"—3:1, „კოლოსი"-„ისკრა" — 0:0, „მეტალურგი"-„შინნიკი" — 1:1.

● ●

სამი ქულა სიზუსტისათვის

დღეს ვლადივოსტოკსა და ნიკოლაევში (უკრაინის სსრ) იწყება საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა 52-ე ჩემპიონატი, რომელიც ტუროვრივი სისტემით წარიმართება. ბრძოლაში ჩაებმება ორ ჯგუფად გაყოფილი 12 გუნდი: ვლადივოსტოკში ითამაშებენ ცსკა, თბილისის „დინამო", ტაშკენტის „უნივერსიტეტი", ლენინგრადის „სპარტაკი", ვლადივოსტოკის „სპარტაკი", ვილნიუსის „სტატიბა", ნიკოლაევში კი კაუნასის „ჟალგირისი", კიევის ასკ, რიგის ვეფ, კიევის „სტროიტელი", მოსკოვის „დინამო" და მინსკის რტი.

თავდაპირველად ორწრიანი ტურნირი გაიმართება რვა უძლიერესი კოლექტივის გამოსავლენად, შემდეგ კი მოეწყობა ერთწრიანი შეჯიბრება, რომელიც ოთხ საუკეთესო გუნდს შეარჩევს. პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ—ითამაშებენ ფინალურ სერიას ორ გამარჯვებამდე, მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულთ კი ბრინჯაოსათვის მოუწევთ მეტოქეობა.

52-ე ჩემპიონატი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ახალი წესებით გაიმართება. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი — 6,25 მეტრი რადიუსის გარედან ზუსტი ტყორცნისათვის გუნდებს 3 ქულა დაერიცხებათ, ერთი მეტრით მოიმატა მოედნის სიგანემაც.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

25 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 10.10 — კონცერტი. 10.30 — მხატვრული ფილმი „კავკასიის ტყვე, ანუ შურიკას ახალი თავგადასავალი". 11.50 — უკრავს სახალხო ორკესტრი „რიგა". 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50—80-იანის კომუნისტები. დოკუმენტური ტელეფილმი. 16.40 — ს. პროკოფიევი. ბალეტ „რომეო და ჯულიეტას" მუსიკის ფრაგმენტები. 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — მოსწავლეთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან თ. ზინჩენკოსთან. 18.15 — უკრავს ა. ტიხონოვი (ბალალაიკა). 18.45 — მაიაკოვსკი. „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი". პოემის ნაწყვეტები. 19.30 — მხიარული ნოტები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.40 — მხატვრული ტელეფილმი „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო გზა". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.45 — მხატვრული ტელეფილმი „მარადიული ძახილი". მე-2 ფილმის მეოთხე სერია. 23.55 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.30 — დოკუმენტური ფილმები. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.05 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.10 — ისტორიულ-რევოლუციური თემა საბჭოურ სახვით ხელოვნებაში. 14.40 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — კონცერტი. 19.45 — „თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.30 — ჰოკეი. ცსკა-„სპარტაკი". შესვენებისას — 21.05 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.45 — სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. 00.15 — ახალი ამბები.

თბილისი

25 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 10.30 — „საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველაფრის საწყისი". 11.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუბანური ქორწილი". 11.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭილაძე). 12.00 — ახალი ამბები. 16.20 — ახალი ამბები. 16.30 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 17.30 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ღრმა ჰორიზონტი". 17.50 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული". მეოთხე სერია. 18.50 — ათეისტური აუდიტორია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაქვთ თუ არა თქვენი თავის იმედი?". 19.05 — რეკლამა. 19.15 — „კალათბურთის სატელევიზიო სკოლა". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „სოცშეჯიბრების კვარცხლბეკზე". 21.05 — „იური ზარეცკის ქორეოგრაფია" (განმეორებით). 21.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი რბოლა". 21.45 — ჩვენი საუკუნე გილავს უახლესი. 21.55 — სტუდენტური რვეული. 22.00 — „ვრემია". 22.45 — „დედოფლის გვირგვინისათვის". 23.00 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ!" („რაიკომის მდივანი") პირველი სერია. 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ფრანკო". 18.10 — მოსწავლეებისათვის — ბიოლოგია.

თეატრი

25 სექტემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ხალომე** (39-ე აბონ. მე-6 წარმ); თბილისის სახელმწიფო დრამატული — **ძალად ექიმი**; სვერდლოვის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები (პროფკავშირთა კულტურის სასახლის შენობაში) — **[illegible] და ველოსიპედი**; ფილარმონია — კომპოზიტორ მ. დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო (დიდ საკონცერტო დარბაზში), უკრავს პიანისტი მ. პლეტნიოვი (კონსერვატორიის დიდ დარბაზში).

რედაქტორის მოადგილე
ლ. ქიქნაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ¬უე 07404 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოვარკულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20